ვერსია

ფასი 50 თეთრი

№83 (978) 10 – 11 სექტემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

შსს-მ ნარკოტრაფიკინგზე დააკავა



გვ. 2

კახი კახიშვილი: „როცა იკვეთება ლიდერი, მაშინვე იწყება მისთვის რაღაცების დაბრალება...“

ვინ აგორებს მიზანმიმართულ შავ პიარს „ქართული ოცნების“ ლიდერების წინააღმდეგ

გვ. 3

„ნაღმი“ ვაკეში

ქავქავაძის გამზირზე 20-სართულიან კორპუსს უსაფრთხოების ნორმების დარღვევით, გაზგამანაწილებელ სადგურთან აშენებენ

გვ. 6

„გორგიასთან“ საქმის დაჭერას არავის ვურჩევ!“

გვ. 5

მძივებად ასხმული ჩაი და დიმიტრი ყიფიანის თავდადება

ეროვნული იდეა

როგორ ჩაჰქონდა ყიფოს კარცერში აკრძალული ნივთები

გვ. 7

მარტოობის ოთხასი წელი ანუ ქართული სისხლის ყივილი ფერეიდანში

გვ. 8

გაერო-ს სამიტზე პრემიერი გაემგზავრება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე გასამგზავრებელ დელეგაციაზე მთავრობამ რამდენიმე თვის წინ იმსჯელა და გადაწყდა — ვინაიდან პრემიერ-მინისტრი არის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი, გაერო-ს სამიტზე გაემგზავრება პრემიერი.

კითხვაზე, გაემგზავრება თუ არა მასთან ერთად პრეზიდენტი აშშ-ში, პრემიერმა განაცხადა: **„არ ვიცი. საგარეო უწყება გაარკვევს“.**

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილის, დავით ზალკალიანის განცხადებით, თუ გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე საქართველო ორი უმაღლესი დელეგაციით იქნება წარმოდგენილი, სერიოზული ზიანი მიადგება ჩვენი ქვეყნის საგარეო იმიჯს.

თავად პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, გაერო-ში საქართველოდან ორი დელეგაციის გამგზავრებაში „უხერხულობას“ ვერ ხედავს.

გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვით გამოსვლა 26 სექტემბრისთვისაა დაგეგმილი. ამავე ასამბლეის ფარგლებში, კლიმატის შესახებ სამიტზე, გიორგი მარგველაშვილის სიტყვით გამოსვლა იგეგმებოდა, თუმცა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გასულ კვირაში განაცხადეს, რომ ამ სამიტზეც სიტყვით პრემიერი გამოვა და საგარეო უწყება გაერო-ში პრეზიდენტის ვიზიტის მოსამზადებლად არ მუშაობს.

„პირველი“

„მასწავლებლის ხელფასი 2016 და 2017 წლებშიც გაიზრდება“

პედაგოგებთან შეხვედრისას, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ 2015 წელს მასწავლებლის სახელფასო პოლიტიკის მოწესრიგება დაიწყება.

მთავრობის მეთაურმა პედაგოგებს განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეები გააცნო და აღნიშნა, რომ 21 სპეციალობაზე უმაღლესი განათლების სწავლა უფასო გახდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია: **„ჩვენ განსაკუთრებით გვჭირდება კონკრეტული დარგების განვითარება. ვამაყობ, რომ სწორედ ჩვენი მთავრობის ძალისხმევით, ნიჭიერ და მონდომებულ ახალგაზრდებს ეძლევათ საშუალება, უფასოდ მიიღონ განათლება ისეთ სპეციალობებში, რომლებიც მართლაც საჭირო და პერსპექტიულია. 2013-2014 წლებში სოლიდური დაფინანსება მიიღეს დოქტორანტმა სტუდენტებმა. ჩემი ინიციატივით ჩამოყალიბდა განათლების საერთაშორისო ცენტრი, სადაც მოხდა რესურსების კონსოლიდაცია, რათა რაც შეიძლება მეტ ახალგაზრდას მისცემოდა საზღვარგარეთ განათლების მიღების საშუალება“.**

ღარიბაშვილისვე თქმით, განათლების ცენტრმა მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში 77 სტუდენტის სწავლება უკვე დააფინანსა. მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია პროფესიული განათლების მხარდაჭერა, რომელიც სახელმწიფომ ასევე სრულად დააფინანსა: **„ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, რომელიც განათლებისა და მეცნიერების განვითარების მიზნით შექმნილი სტრატეგიის ფარგლებში გამოიკვეთა, პედაგოგებს, პედაგოგიურ განათლებას, პედაგოგიურ პრაქტიკას და შესაბამისად, მოსწავლეთა სწავლის შედეგების გაუმჯობესებას ეხება. ეს პრინციპულად მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რადგან მხოლოდ მაღალკვალიფიციურ და მოტივირებულ მასწავლებლებს შეუძლიათ მოსწავლეებისათვის საუკეთესო ცოდნის მიცემა. მხოლოდ პროფესიონალ პედაგოგებს შეუძლიათ მაქსიმალურად რეალიზებული და წარმატებული მომავალი თაობის აღზრდა. მივესალმები მნიშვნელოვან წამოწყებას, რომელიც ორიენტირებულია პედაგოგის მხარდაჭერასა და პროფესიულ განვითარებაზე. იმედი მაქვს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ახალი სისტემა ახალ პერსპექტივას შექმნის ჩვენი ქვეყნის განათლების სფეროში“.**

პრემიერის განმარტებით, მთავრობის მთავარი მიზანია, მასწავლებლის პროფესია ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ პროფესიად აქციონ, როგორც ეს მსოფლიოს ყველაზე წარმატებულ ქვეყნებშია.

ღარიბაშვილი მიიჩნევს, რომ ასეთი მხარდაჭერით, კომპლექსური მიდგომით, თანამიმდევრული ნაბიჯებით მასწავლებლობა ახალგაზრდებისთვის მიმზიდველი პროფესია გახდება. მისასალმებელია, რომ ახალი სქემის მიხედვით მასწავლებლის ანაზღაურების ზრდა, დამოკიდებული იქნება მხოლოდ მის მიღწევებზე, რაც თითოეულ მასწავლებელს გაუზრდის მოტივაციას.

„პირველი“

ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა ვერ შესრულდა

2014 წლის 6 თვეში ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა ვერ შესრულდა. ამას ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიში ადასტურებს, რომელიც მთავრობამ პარლამენტს უკვე წარუდგინა და მისი განხილვა საპარლამენტო კომიტეტებში დაიწყო.

დოკუმენტის მიხედვით, შემოსულობების ნაწილში ყველაზე დიდი შეუსრულებლობა ვლინდება გრანტებში, სხვა შემოსავლებში, ფინანსური აქტივების კლებაში, მათ შორის — ვალდებულებების ზრდაში.

შემოსულობებს 155-მილიონი დააკლდა, გრანტებს – 53 მილიონი, სხვა შემოსავლებს – 33 მილიონი, ფინანსურ აქტივებს – 6 მილიონი, ვალდებულებების ზრდას, ანუ სესხებს – 176 მილიონი.

ვალდებულებებში ვერ შესრულდა საგარეო წყაროებიდან მოსაზიდი ფინანსები, რომელიც უფრო იაფი სესხია, ვიდრე საშინაო ფასიანი ქაღალდები.

2014 წლის 6 თვის ბიუჯეტის ანგარიშის შესრულების დოკუმენტს მხარი პარლამენტის აგრარულ საკითხთა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომიტეტებმა არ დაუჭირა. მთავარი მიზეზი ის არის, რომ შესაბამისი დარგობრივი სამინისტროების მხრიდან არ მოხდა გეგმისამებრ თანხების ათვისება. აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, გიგლა აგულაშვილის განმარტებით: **„პრეტენზიები ეხება ხარჯვით ნაწილს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემთხვევაში ზოგიერთი მიმართულებით კარგი მაჩვენებელია, მაგრამ არის დარგები, სადაც შესაბამისი სამსახურები მკაცრ კრიტიკას იმსახურებს“.**

„ინტერპრესნიუსი“

საქართველოს სახელმწიფო ვალმა 9 580.6 მლნ ლარი შეადგინა

2014 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, საქართველოს სახელმწიფო ვალმა 9 580.6 მლნ. ლარი შეადგინა. აქედან სახელმწიფო საშინაო ვალის მთლიანი მოცულობა შეადგენს 2 359.7 მლნ ლარს, საგარეო ვალი კი — 7 220 9 მლნ ლარია.

ფინანსთა სამინისტროს ცნობით, მიმდინარე წლის 6 თვის მდგომარეობით, ვალის მომსახურებასა და დაფარვაზე 383.1 მლნ ლარი გამოიყო. საშინაო ვალის დაფარვაზე — 16.0 მლნ ლარი, ხოლო მომსახურებაზე – 50.1 მლნ ლარი.

რაც შეეხება საგარეო ვალს, მისი დაფარვისათვის 2014 წლის 6 თვეში გამოიყო 247.9 მლნ, ხოლო მომსახურებისათვის – 69.1 მლნ ლარი.

„ინტერპრესნიუსი“

ფონიჭალაში, სპეცოპერაციისას, ნარკორეალიზატორი დააკავეს

9 სექტემბერს, ქვემო ფონიჭალაში, ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში სპეცოპერაცია ჩატარდა. ქვემო ფონიჭალაში მცხოვრებთა ინფორმაციით, სპეცოპერაციისას დაკავებული პირი ნარკოტიკებთან დაკავშირებით ციხეში ადრეც იმყოფებოდა. ფონიჭალაში ჩატარებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გაავრცელა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ. ჭიკაიძის უწყების ცნობით, დაკავებულია ნარკორეალიზატორი ელშად ფ, რომელმაც დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების რეალიზაცია მოახდინა: **„შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველი მთავარი სამმართველოს პირველი განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1982 წელს დაბადებული, წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი ელშად ფ. ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით ფონიჭალაში დააკავეს.**

გამოძიებამ დაადგინა, რომ ელშად ფ-მ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების რეალიზაცია მოახდინა. ამოღებულია დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინი. სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ნარკოტიკის რეალიზაციის შედეგად მიღებული ფული ამოიღეს. გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებული სისტემატურად ახდენდა ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციას“.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის და გასაღების ფაქტზე საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

„ვერსიანიუსი“

ირაკლი შიხიაშვილი ვეტერანთა საქმეების სამსახურს უხელმძღვანელებს

„ჩემი დიდი სურვილი იყო, რომ ამ თანამდებობაზე დავნიშნულიყავი, რადგან კარგად ვიცი, რა პრობლემები აქვთ ვეტერანებს აქვთ“, — ამგვარად შეაფასა ვეტერანთა საქმეების სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნა თბილისის საკრებულოს ყოფილმა თავმჯდომარემ, ირაკლი შიხიაშვილმა. მისი თქმით, მზად არის მიიღოს გამოწვევა და ყველაფერი გააკეთოს, რათა ვეტერანების მდგომარეობა მაქსიმალურად გაუმჯობესდეს: **„პრემიერისა და ჩემი დიდი სურვილი იყო, ამ თანამდებობაზე დავნიშნულიყავი, რადგან ვარ ვეტერანი და კარგად ვიცი რა მდგომარეობაში არიან და რა სირთულეები არსებობს ვეტერანებთან დაკავშირებით“.**

შიხიაშვილმა არ ისაუბრა, რატომ მოხდა ყოფილი ხელმძღვანელის ცვლილება, თუმცა განაცხადა, რომ ფერაძე ამ სტრუქტურაში აღარ იმუშავებს.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, შიხიაშვილი აცხადებს, რომ მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანი იქნება, ვეტერანებმა აღარ იცხოვრონ წარსული ტკივილით და ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში ჩაერთონ: **„ჩემთვის, როგორც მოქალაქისთვის, როგორც ვეტერანისთვის, ძალიან დიდი პატივია ის ნდობა, რომელიც გამომიცხადა პრემიერმა და მისმა გუნდმა. დიდი ხნის განმავლობაში ვეტერანთა პრობლემები თაროზე იყო შემოდებული და არ იყო ჯეროვანი დამოკიდებულება ამ ადამიანების მიმართ. ძალებს არ დავიშურებთ, რომ გაუმჯობესდეს მათი მდგომარეობა. რაც მთავარია, ჩემთვის, როგორც ხელმძღვანელისთვის, უმნიშვნელოვანესია დამთავრდეს ვეტერანების წარსულის ტკივილით ცხოვრება. მნიშვნელოვანია, ისინი დაბრუნდნენ აწმყოში და აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის აღმშენებლობაში“.**

„პირველი“

კახი კახიშვილი: „როცა იკვეთება ლიდერი, მაშინვე იწყება მისთვის რაღაცების დაბრალება...“

გიორგი იაშვილი

ბოლო დროს საზოგადოებაში თითქოს მიზანმიმართულად ვრცელდება ხმები, რომ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შიდადაპირისპირება დაიწყო და აშკარად შესამჩნევი გახდა ის მიზანმიმართული შავი პიარი, რომელიც პარტიის გამოკვეთილი ლიდერების წინააღმდეგაა მიმართული. ბევრს გაუჩნდა აზრი, რომ ეს გუნდის შიგნიდან გორდება. „ვერსია“ ამ თემაზე ექსპერტ კახი კახიშვილს ესაუბრა.

— ბატონო კახი, „ქართული ოცნების“ სიძლიერე ერთად დგომასა და გუნდურ პრინციპში იყო, მაგრამ ეს ერთიანი გუნდი თითქოს თვალსა და ხელს შუა იშლება. ყოველ შემთხვევაში, ამ თემაზე უკვე ბევრი ღიად საუბრობს...

— გავითვალისწინოთ, რომ „ქართულ ოცნებაში“ შედის ბევრი პოლიტიკური სუბიექტი, რომლებსაც ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლამდე არასოდეს ჰქონიათ საერთო პოლიტიკური ხედვა და იდეოლოგია. ისინი გაერთიანდნენ ერთი იდეის, ერთი ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის ირგვლივ კონკრეტული მიზნის მისაღწევად — სააკაშვილის მმართველობის დასასრულებლად. შესაბამისად, ერთი მონოლითური გუნდის პრინციპი თითქმის არასოდეს ყოფილა. რეალურად ეს არის ეკლექტური საზოგადოება. ვიყოთ რეალისტები — ამ პოლიტიკოსების მიზანი ივანიშვილის დახმარებით ხელისუფლებაში მოსვლა თუ არა, პარლამენტში წარმომადგენლობითი ნიშის დაკავება იყო. როცა მათ შეასრულეს პირველი ამოცანა, რის შემდეგაც „ქართული ოცნება“ ბიძინა ივანიშვილის დახმარებით, ხელისუფლებაში მოვიდა, ლოგიკურად გაჩნდა მეორე — რაც შეიძლება დიდხანს დარჩნენ ხელისუფლებაში და გაიმყარონ პოზიციები. მათ ისიც იციან, რომ კოალიცია მუდმივი არ იქნება და ამიტომ იმაზეც ფიქრობენ, რომ, თუ ისევ ვერ დარჩებიან ხელისუფლებაში, წარმომადგენლობითი ოპოზიციის რანგში მაინც დარჩნენ და გახდნენ ნომერმეორე ოპოზიციური ძალა. დღეს ჩანს, რომ კოალიციის ლიდერებს შორის ჰარმონიული ურთიერთობა არ არსებობს და კოალიციაში შემავალი პარტიების იმ ლიდერებს, რომლებიც თანამდებობებზე პოლიტიკური ნიშნით დაინიშნნენ, აქვთ საკუთარი ხედვა და ამბიცია. განსხვავებული პოლიტიკური მიზნები აქვს იგივე „ქართულ ოცნებას“ და ეს თვალშისაცემია. რა თქმა უნდა, იკვეთება ნაციონალური მოძრაობის მიზანიც. ამ პარტიას სურს, რაც შეიძლება მალე შეარყიოს კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთობა. თუნდაც ეს დროებითი ერთობა, რომელიც არსებობს, რადგან მიიჩნევენ, რომ დაშლილი კოალიციის მორევა უფრო ადვილია, ვიდრე თუნდაც სიმბოლურად ერთად მდგარი პოლიტიკური გაერთიანებისა.

— განსხვავებული პოლიტიკური მიზნები ახსენეთ და კონკრეტულად რომელი პარტიის ლიდერს გულისხმობთ?

— თუნდაც, ირაკლი ალასანიას... უფრო ზუსტად კი მის დამოუკიდებლად წამოწევის მცდელობას. ფორმირდება აზრი, რომ მას აქვს დამოუკიდებელი პოლიტიკური კარიერის პერსპექტივები. იგივე შეიძლება ითქვას მარგველაშვილზე, კალაძეზეც. ნაციონალური მოძრაობა არჩევს დამოუკიდებელ პოლიტიკურ ფიგურებს, რომლებიც კოალიციაში არიან, ამავდროულად — აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც და აქვთ მომავალი პოლიტიკური მიზნები. ხდება ფორსირება, რომ ამ ადამიანებმა დატოვონ „ქართული ოცნება“ და ეს კარგად ჯდება ნაციონალური მოძრაობის კონფიგურაციაში. ნაციონალებმა იციან, არჩევნებით ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდებიან, მაგრამ აქვთ პრეტენზია, იყვნენ პირველი ოპოზიციური ძალა. საამისოდ მათ სჭირდებათ პარტნიორი ან პარტნიორები და არ აქვს მნიშვნელობა, ეს ღია თანამშრომლობა იქნება თუ ფარული გარიგება.

— ბოლო დროს გააქტიურდა საუბრები კახა კალაძის გარშემო. თითქოს იგი დაუპირისპირდა ირაკლი ღარიბაშვილს, შინაგან საქმეთა მინისტრობა სურს და ა.შ. არადა, კალაძე ყოველთვის გაიგივებული იყო „ქართული ოცნების“ ლიდერებთან და ცალკე თამაში არ უცდია...

— მოდი, ასე ვთქვათ, კახა არ ზის „ქართული ოცნების“ ნომენკლატურაში და ახლახან დაინიშნა პარტიაში პოლიტიკურ თანამდებობაზე. ამასთან ერთად, კალაძე მუდმივად აფიქსირებს საკუთარ აზრს და ამით კვეთს ლიდერის პოზიციას. ბუნებრივია, ეს ბევრისთვის გამაღიზიანებელია. საუბარი იმაზე, რომ დღეს კალაძესა და ღარიბაშვილს შორის არის დაპირისპირება, შესაძლოა აბსურდია, მაგრამ ეს საუბარი დღეს ძალიან ბევრს აწყობს — როგორც გუნდის გარეთ, ასევე, შესაძლებელია, მის შიგნით. ამ თემის გაღრმავება ბევრის პოლიტიკურ ინტერესშია და ეს გასაკვირი არც უნდა იყოს. როცა ხედავ, იკვეთება ლიდერი, მაშინვე იწყება რაღაცების დაბრალება. განიხილება თუ არა კალაძე შინაგან საქმეთა მინისტრად, არ ვიცი, მაგრამ ესეც ვიღაცებს აწყობს. საკუთარ მაგალითზე გეტყვით, საერთოდ არ განიხილებოდა კახი კახიშვილი კონკრეტულ თანამდებობაზე, მაგრამ ამ თემაზე აქტიურად საუბრობდნენ. არადა, რეალურად ხსენებაც კი არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, ღიად, აქტიურად საუბრობდნენ, რადგან ეს აწყობდათ. იგივე ხდება კალაძის შემთხვევაშიც. როცა ვინმეს ხელში აღმოჩნდება ძალაუფლება, მასზე თავდასხმა ხშირდება და ეს მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ არის. ისტორიულადაც ასე იყო — ვინც ფლობს ძალაუფლებას, იმის წინააღმდეგ ყოველთვის ილაშქრებენ და ინტრიგებიც თანმდევი პროცესია.

— და რამდენად იჯერებს ამომრჩეველი იმას, რასაც ხშირად უბრალოდ აბსურდის სუნი უდის... ისევ მოქმედებს მოსახლეობაზე ე.წ. შავი პიარი?

— ფაქტია, მოქმედებს. ამას გარდა, თავად ეს თემა ვისაც ეხება, ფსიქოლოგიურად ძნელი გადასატანია და დამანგრეველიც შეიძლება იყოს. გააჩნია, რას გაბრალებენ. შეიძლება ახლა სასაცილო იყოს ავტოგოლების თემა, მაგრამ შესაძლებელია ადამიანს ისეთი რამ მოუგონო, ფსიქოლოგის დახმარება დასჭირდეს. ეს პოლიტიკის თანმდევია, მაგრამ ამ წესებს არ ვეთანხმები. ამიტომაც მქონდა მუდმივად სურვილი, პოლიტიკისგან შორს ვყოფილიყავი.

— დასასრულ, ბატონო კახი, გაერო-ში პრემიერი უნდა წავიდეს თუ პრეზიდენტი?

— არ შემიძლია ამ კონკრეტული თემის განხილვით შემოვიფარგლო. დღეს განვიხილავთ გაერო-ს ვიზიტს, ხვალ სხვა იქნება, მერე კიდევ სხვა... თემას გლობალურად უნდა შევხედოთ. ორივე ინსტიტუცია ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ამიტომ ყოველდღიურად ამაზე მსჯელობა რომ არ დავიწყოთ, ვინ, სად და რას უნდა მოაწეროს ხელი, ყველაზე კარგი იქნება, შეიქმნას ჯგუფი, სადაც შევლენ როგორც პრეზიდენტის, ისე პრემიერის წარმომადგენლები და პოსტ-ფაქტუმ კი არა, წინასწარ შეათანხმებენ ყველა დეტალსა და ყველა ვიზიტს. რეალობა ისაა, რომ ახალი საკონსტიტუციო მოდელი ახლახან ამოქმედდა, ჯერ ყველა შეგუების პროცესშია და როცა ეს დალაგდება, თავისთავად გაირკვევა, ვინ სად უნდა იფრინოს.

ალექსეევკის საავიაციო ბაზაზე ალექსანდრე ქართველიშვილისადმი მიძღვნილი ავიაშოუ გაიმართა

9 სექტემბერს, ქართველ-ამერიკელი ავიაკონსტრუქტორის, ალექსანდრე ქართველიშვილისადმი მიძღვნილი კვირეული გაიხსნა. კვირეულის პირველ დღეს, ალექსეევკის შერეულ საავიაციო ბაზაზე ავიაშოუ გაიმართა. საქართველოს შეიარაღებული ძალების, ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის სამხედრო პილოტებმა L-39 „ალბატროსის“ და სუ-25 „მიმინო“ ტიპის თვითმფრინავებით უმაღლესი პილოტირების მანევრები შეასრულეს. ავიაშოუში ჩართული იყო UH-1H „ირიკეზის“ ტიპის ვერტმფრენი.

დაბა ალექსეევკის საავიაციო ბაზის აეროდრომზე ავიაშოუ პარაშუტისტებმა გახსნეს. მათ AM-2 ტიპის თვითმფრინავებიდან გადმოხტომისას საქართველოსა და აშშ-ის სახელმწიფო დროშები გაშალეს. საავიაციო ბრიგადის მფრინავთა პირადმა შემადგენლობამ საფრენი აპარატების უმაღლესი პილოტირების ისეთი მანევრები შეასრულეს, როგორიცაა ვერტიკალური კასრები, ვერტიკალური რვიანი, კასრები გორაკზე, გადაბრუნება გორაკზე, მარყუჟი კასრებით და რგოლით მარყუჟი სამეულში. მიწვეული სტუმრებისთვის საავიაციო ბაზის ტერიტორიაზე გამოფენაც მოეწყო, სადაც მი-8 და AS-332 „ევროკოპტერის“ ტიპის ვერტმფრენები და უპილოტო საფრენი აპარატები იყო წარმოდგენილი.

ავიაშოუს მუსიკალურად თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ორკესტრი აფორმებდა. თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას განმარტებით, ალექსანდრე ქართველისადმი მიძღვნილი ღონისძიება ყოველწლიურ ხასიათს მიიღებს. მომავალ წელს კი, შესაძლოა, რეგიონული ქვეყნების პილოტები და მფრინავი საშუალებებიც ჩამოიყვანონ.

ალექსეევკის საავიაციო ბაზის აეროდრომზე გამართულ ღონისძიებას საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, თავდაცვის სამინისტროსა და გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელი პირები და „ჯარის მეგობართა საზოგადოების“ წევრები ესწრებოდნენ.

„ინტერპრესნიუსი“

მთავარი პროკურატურის თანამდებობის პირებმა 2013 წელს პრემიის სახით 1 646 027 ლარი მიიღეს

II-ის ინფორმაციით, საქართველოს მთავარი პროკურატურის თანამდებობის პირებმა 2013 წელს პრემიის სახით 1 646 027 ლარი მიიღეს. „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ წარმომადგენლების განმარტებით, II-ს არ მიეწოდა ინფორმაცია პროკურატურის თანამდებობის პირებზე პრემიების შესახებ ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით, თუმცა მიღებული მონაცემებიდან ირკვევა, რომ ჯამურად საქართველოს მთავარი პროკურატურის თანამდებობის პირებს 2013 წელს მიღებული აქვთ პრემია 1 646 027 ლარის ოდენობით, ხოლო 2014 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში 852 731 ლარის ოდენობით.

რაც შეეხება პროკურატურის თანამშრომლებზე (გარდა თანამდებობის პირებისა) ამავე დროის პერიოდში გაცემულ პრემიებს — 2013 წელს პროკურატურის თანამშრომლებზე გაცემულია 4 254 830 ლარის პრემია, ხოლო 2014 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში — 3 114 115 ლარი. ჯამში, 2013 წელს, პროკურატურის სისტემაში გაიცა 5 900 857 ლარის ოდენობის პრემია, 2014 წლის პირველ 6 თვეში კი — 3 966 846 ლარი.

„ინტერპრესნიუსი“

დავბრუნდით, ანუ ასე უფრო უპრიანია

გიორგი იაშვილი

თვეზე ოდნავ მეტი დავისვენეთ და დავბრუნდით. ერთი შეხედვით არაფერი შეცვლილა: პრეზიდენტი ისევ გიორგი მარგველაშვილია, პრემიერ-მინისტრი — ირაკლი ღარიბაშვილი, ტერიტორიები — ოკუპირებული, საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა ისევ წააგო... დავბრუნდით, რათა, როგორც ყოველთვის, ის მოგითხროთ, რაც ზედაპირზე არ ჩანს და რეალურად ხდება. იმას არ ვამტკიცებთ, რომ მარგველაშვილი პრეზიდენტი არაა, ღარიბაშვილი — პრემიერ-მინისტრი... პრინციპში, თავს ვერაფერზე დავდებთ, მაგრამ საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა ნამდვილად წააგო.

ბოლოდან დავიწყოთ... საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო ოპოზიციამ მინისტრთა კაბინეტში ყველაზე პატარა მინისტრი შეარჩია და შეუტია. შავ დღეში ჰყავთ ჭიკაიძე, აქაოდა, კრიმინალი შენ გგავსო, ფეხს ახლა იდგამსო, ლაპარაკს სწავლობსო, სრულწლოვანებაში შედის და იხვეწებაო. ჭიკაიძემ კიდევ, უპრიანი არის და კომენტარს არ ვაკეთებო. ვინ ასწავლა ეს სიტყვა, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, მაშინ გამოიყენა, როცა საჭირო არ იყო. პრინციპში, ჭიკაიძეს ვერ გავამტყუნებთ, ხელისუფლებამ ისიც მაშინ გამოიყენა, როცა საჭირო არ იყო. 28 წლის ბიჭს მინისტრის პორტფელს რომ ჩააბარებ, თან ისეთს, საქართველოში ყოველთვის მძიმე „ასაწევი“ რომ არის, არ უნდა იყოს... ბოდიში და, უპრიანი.

ვერ გეტყვით, ჩვენს დასვენებას ელოდნენ თუ სხვა მიზეზი იყო, მაგრამ დაგვიგულეს თუ არა ზღვისპირეთში, მიხეილ სააკაშვილზე ძებნა გამოაცხადეს. გამოცხადებას ვინ ჩივის, პრეზიდენტყოფილი საბერძნეთში შეაყოვნეს კიდეც. ამბობენ, შიშისგან ელეთმელეთი მოუვიდა და უბრალოდ, გემბანიდან გასაქცევი არ ჰქონდა, თორემ 2008 წელი და გორში ჩატარებული გაქცევა მონაგონი იქნებოდაო. მერე კი, როცა გაუშვეს, მიშამ ჩვეულებისამებრ გაილაღა და ტელეეთერით (კი ხვდებით რომლიდან) იბლატავა, ჩემი დამჭერი კაცი ჯერ არ დაბადებულაო, მაგრამ ეჭვი მაქვს (თან სერიოზული), სააკაშვილს რომელიმე ახლო მეგობარი უღალატებს და ისიც დაჭერის წინ ჩაფიქრებული იტყვის: „რა ქენი, გუდუნა, ეს?!“...

გუდუნა კი ციხეშია და როგორც ამბობენ, წონაშიც დაიკლო. არადა, რა დრო იყო, გუდუნას დიეტაზე იჯდა მთელი თბილისი. ახლა კიდევ გუდუნა ზის და მთელი თბილისი... თუმცა რაღა თბილისი, მთელი საქართველო მისი განაჩენის მოლოდინშია. გულის საოხად მხოლოდ ის აქვს გუდუნას, რომ თბილისის მერობა ისევ მეგრელს დაუტოვა. დაუტოვა რა, დაატოვებინეს და სხვათა შორის, ამ ამბავზე შარიც მოსდეს თურმე ციხეში, როცა გადაგაყენეს, მაშინვე მეგრელს რატომ არ დაუტოვე „ვლასტი“, უგრეხელიძე საიდან მოიყვანეო და გუდუნასაც თავი უმართლებია, სახელი ჰქონდა უგრეხელიძეს მეგრული და მაგან შემაცდინაო.

თბილისის ახალი მერი კი სკამს ჯერ ვერ მოერგო. უფრო ზუსტად, მოერგო, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, შავ დღეში გაატარებენ და ჩვენი არ იყოს, ვიღაცებიც შვებულების დასრულებას ელიან. ვიღაცებში პარლამენტარები არ მიგულისხმია, პატიოსნად დაიწყეს მუშაობა და ასევე პატიოსნად იმსჯელეს იმ კანონზე, რომელიც ზოგადად არავის სჭირდება. სამაგიეროდ, ხელფასის გაზრდა სჭირდება პარლამენტარებს — სავარაუდოდ, ეს საკითხი დღის წესრიგში კიდევ დადგება და დადებითადაც გადაწყდება.

ყველაზე საინტერესო საჯარო მოხელეთათვის ალბათ სამუშაო დღის გაზრდა იყო — დილის ათის ნაცვლად, მუშაობა დილის ცხრა საათზე დაიწყო. სამაგიეროდ, ერთი საათი შესვენება იქნება. არადა, ის ერთი საათი მანამდეც ისვენებდა ხალხი, ეტყობა, ეს მთავრობაში არ იცოდნენ. სავარაუდოდ, მთავრობაში არც ის იცოდნენ, ზოგიერთ სამსახურში ერთი საათი კი არა, მთელი დღე ისვენებს ხალხი და ხელფასს დასვენებაში იღებს. ჩვენთვის, ჟურნალისტებისთვის კი არაფერი შეცვლილა და ისევ 24-საათიან რეჟიმში გვიწევს მუშაობა.

სიმართლე გითხრათ, რადგან არავინ და არაფერი იცვლებოდა, კი ვიფიქრეთ, დასვენებას გავიხანგრძლივებთო, მაგრამ სექტემბრის ბოლოს საინტერესო ამბები გველის. გაერო-ს ასამბლეაზე ოფიციალურად ირაკლი ღარიბაშვილია მიწვეული. მარგველაშვილი ამტკიცებს, ოფიციალურად ვარ მეც მიწვეული. რაც მთავარია, ერთსაც და მეორესაც სესიაზე სიტყვით გამოსვლა სურს, არადა გაერო-ს ისტორიას არ ახსოვს, ერთი ქვეყანა ორ ლიდერს წარმოედგინა და, რაც მთავარია, ორი ლიდერი სიტყვით გამოსულიყო. ახლა იმაზე მიდის ჭიდაობა, ვისი მიწვევაა უფრო „ბლატნოი“ და გაგიმხელთ, რა ეჭვიც მაწუხებს — ვფიქრობ, ქართულ დელეგაციას გაერო-ს ასამბლეის დერეფნებში მიხეილ სააკაშვილიც დახვდება. მიშა ხომ იცით, როგორი ცნობადი სახეა, ჰოდა, ესენი იმდენს იზამენ, სიტყვით მიშა გამოვა და მერე რა ამოვა ჩიორას ყბიდან. თაქთაქიშვილზე მოგახსენებთ, თორემ ჩიტზე რომ ვიძახდე, ჩიორას ნისკარტიდან-თქო, ასე დავწერდი.

სხვა, აბა, რა გითხრათ?! ჩემს კოლეგებს, რომ ველოდი, ისეთი ნამზეური არ აქვთ, არც დასვენებული სახეები აქვთ დიდად და ეჭვი მაქვს, დასასვენებლად კი არა, მასალების მოსაძიებლად უფრო იყვნენ წასულები. ჰოდა, თუ ასეა, ელოდეთ და... გეშინოდეთ, ბატონებო, სიმართლის გეშინოდეთ. აი, იმ სიმართლის, საგულდაგულოდ რომ მალავდით და ბოლოს კაზანტიპად რომ გექცათ. ამბობენ, ამ ფესტივალზე ღამღამობით პოლიტიკოსებიც დაძვრებოდნენო. სწორედაც რომ დაძვრებოდნენ, რადგან, თუ საძრომიალოდ არ ჰქონდათ საქმე, დღისით ევლოთ... თუმცა დღისით დიდი საქმეები არ კეთდება, ამისთვის ღამეა საჭირო. ასე არ არის, ლექსო? ეს კრიმინალიც ღამე გაცოცხლდა და ეგებ ვიღაცებმა გაიღვიძონ, თვალი გაახილონ... ასე უფრო უპრიანია!

ერთადერთი გზა საქართველოს წინსვლისკენ

ლინკოლნ მიტჩელი აქვეყნებს სტატიას სათაურით „საქართველოსა და სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის ბრალდებების შეჯამება“.

„საქართველოს გენერალური პროკურორის გადაწყვეტილება ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ ბრალდებების წაყენების შესახებ მოულოდნელი იყო. მიუხედავად ამისა, ამ გადაწყვეტილებას აქვს პოტენციური ძალა, შეცვალოს საქართველოს ურთიერთობა ევროპასა და აშშ-სთან. გარდა ამისა, შესაძლებელია ადგილობრივი პოლიტიკური დაძაბულობის შემსუბუქება“, — წერს ლინკოლნ მიტჩელი.

ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობის ღრმა რწმენით, საკმარისი მტკიცებულება არსებობს, რათა სააკაშვილს ბრალი ოფიციალურად წარუდგინონ და დამნაშავედ ცნონ, თუმცა მათი უმრავლესობა აცნობიერებდა იმ რთულ პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ სისხლის სამართლის მუხლებით ბრალდების წარდგენას ახლდა: **„იმ დროისთვის, როცა „ქართული ოცნება“ არჩევნების გზით მოვიდა ქვეყნის სათავეში, საქართველოს მოქალაქეთა დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ სააკაშვილი ხელმძღვანელობდა კრიმინალურ რეჟიმს, მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები გამართლებული და საჭირო იყო საქართველოში კანონის უზენაესობის აღსადგენად. მიუხედავად ამისა, დასავლეთში მავანნი კვლავაც ვერ აცნობიერებენ ამ ფართოდ გავრცელებულ შეხედულებას საქართველოს ყოფილი პრეზიდენტისა და მისი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების შესახებ. რასაკვირველია, სისხლის სამართლის საკითხები არ უნდა განიხილებოდეს საზოგადოებრივი აზრის საფუძველზე, თუმცა სისულელე იქნებოდა არაღიარება, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურატურამ არ გაითვალისწინა საზოგადოებრივი აზრი. ასევე თითქმის ცხადია, რომ სააკაშვილის წინააღმდეგ ბრალდებების წაყენების გადაწყვეტილება გაკეთდა ხელისუფლების უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე პროკურატურაა. სააკაშვილს ბრალდებები წაუყენეს იმ მტკიცებულებების საფუძველზე, რომ ის ჩართული იყო სისხლის სამართლის დანაშაულებრივ ქმედებებში, თუმცა ხელისუფლებას ამ სკანდალური გადაწყვეტილებისაკენ საზოგადოების სურვილმა უბიძგა“.**

ლინკოლ მიტჩელი წერს, რომ საქართველოს ხელისუფლების ზოგ წარმომადგენელს სააკაშვილის მიმართ ბრალდებების შესაძლო წარდგენასთან დაკავშირებით ვაშინგტონსა და ზოგადად დასავლეთთან პრობლემების შექმნის გამო განსხვავებული აზრი ჰქონდა, მთავრობის სხვა წევრები კი შეშფოთებულნი იყვნენ დასავლეთის რეაქციით, თუმცა ისინი არანაკლებ შეშფოთებულნი იყვნენ უკანონობის ხელშეწყობის გამოც, რომელსაც ადგილი ექნებოდა ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ ბრალდებების წაუყენებლობის შემთხვევაში.

სტატიის მიხედვით, დასავლეთში გაჟღერდა განსხვავებული მოსაზრება, რომ მიხეილ სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის მთავრობის სხვა მაღალჩინოსნების მიმართ ბრალდებების წარდგენა პრეცედენტს შექმნის: **„დამატებითი და უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც მავანნი დასავლეთში არიან შეშფოთებულნი, ისაა, რომ ყოველივე ეს აიძულებს, გადახედონ და ხელახლა გააანალიზონ თავიანთი შეხედულება სააკაშვილზე. სააკაშვილმა ათწლეულის დიდი ნაწილი გაატარა საკვანძო დასავლელ ლიდერებთან ურთიერთობების დამყარებაში. დროთა განმავლობაში ეს ურთიერთობები უფრო მემარჯვენეობისკენ გადაიხარა, თუმცა სააკაშვილი ისევ პოპულარული იყო დასავლეთის საგარეო პოლიტიკის ელიტურ წრეებში. სააკაშვილმა უზრუნველყო კეთილგანწყობა, რისთვისაც გამოიყენა ხმამაღალი ანტირუსული რიტორიკა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში შესანიშნავი შედეგები მმართველობის ადრეულ ეტაპზე, თავისი შარმი და ინტელექტი და გაუთავებელი, ძვირადღირებული აგრესიული სტრატეგია საზოგადოებრივ ურთიერთობებში“.**

ლინკოლნ მიტჩელი წერს, რომ თუნდაც სავარაუდო დამნაშავე მეგობრის დაკავებასთან დაკავშირებით გაბრაზება საქართველოში თავისთავად დიდ პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ თუკი, როგორც ვარაუდობენ, სააკაშვილის სამართალში მიცემა საფრთხის ქვეშ დააყენებს ორმხრივ ურთიერთობებს, მაშინ ეს პარლამენტარები, სენატორები და სხვანი აყენებენ თავიანთ ამპარტავნებას იმ პრინციპებზე მაღლა, რომელთა დასაცავად, ერთი მხრივ, ევროკავშირი და აშშ, მეორე მხრივ კი საქართველო იბრძვიან ამ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში: **„ამ მხრივ, დასავლელი ლიდერები, ევროპის სახალხო პარტიის ჩათვლით, უნდა ჩამოყალიბდნენ, პირადად სააკაშვილის მხარდაჭერა უფრო მნიშვნელოვანია თუ საქართველოსი“.**

პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ სააკაშვილის ხელშეუხებლობის მოთხოვნის დასავლური ზეწოლისა და ყოფილ პრეზიდენტთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების მოქმედების დეტალური და ზედმიწევნითი განხილვის გამო, საქართველოს ხელისუფლება იძულებულია, თავი აარიდოს ნებისმიერ შეცდომას და არასათანადო მოპყრობას ამ საქმესთან დაკავშირებით: **„სააკაშვილი შეიძლება იყოს დამნაშავე, მაგრამ ეს უნდა დამტკიცდეს სასამართლოში. დღეს კი არ არსებობს გაქცევის რისკი, რადგანაც ყოფილი პრეზიდენტი უკვე წასულია ქვეყნიდან, რაც ძირს უთხრის ამ წინასწარი პატიმრობის ლოგიკურობას“.**

„ერთი წლის წინ სააკაშვილმა განიცადა სტაგნაცია მოუხერხებელ და არაპროდუქტიულ კოჰაბიტაციის პერიოდში — მისი პრეზიდენტობის ვადა ჯერ არ იყო ამოწურული, როცა „ქართული ოცნება“ უკვე მართავდა ქვეყანას. მისი პარტია მიექანებოდა დამარცხებისაკენ საპრეზიდენტო არჩევნებში. ასე რომ, სააკაშვილი უკვე ეძებდა თბილ ადგილს და დათანხმდა თანამდებობას აშშ-ს ტაფტის უნივერსიტეტში. 2014 წელს ევრომაიდანის მოვლენებმა, რომლებსაც მოჰყვა რუსეთის აგრესია უკრაინაში, სააკაშვილს შესაძლებლობა მისცა, გამოეყენებინა თავისი ცნობილი უნარი მედიასთან ურთიერთობებში და ხმამაღალი რიტორიკა პუტინის წინააღმდეგ, რომელთაც ხშირად იყენებდა კომენტარებში ამ კონფლიქტის შესახებ. ამ ბრალდებებმა მისცა სააკაშვილს შესაძლებლობა, განეხორციელებინა თავისი პოზიციის რეაბილიტაცია, რომელიც ყოველთვის იყო ნეოკონსერვატიული ატლანტიკის ოკეანის ორივე მხარეს. ახლა მას შეუძლია წარდგეს, როგორც ბრაზმორეული და შურისმაძიებელი საქართველოს ხელისუფლების მსხვერპლი და ქვეყნიდან ნახევრად გაძევებული ლიდერი, რომელიც ელოდება დაბრუნების შესაძლებლობას. ეს კი ვერ იქნებოდა „ქართული ოცნების“ მიზანი სააკაშვილის წინააღმდეგ ბრალდებების წაყენებისას, თუმცა მათთვის უცნობი არ უნდა ყოფილიყო ასეთი სცენარის განვითარება.

ცხადია, ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებების წაყენებამ ბევრი პრობლემა შეუქმნა თბილისს. მიუხედავად ამისა, ეს შეიძლება იყოს ერთადერთი გზა, რომლითაც საქართველო საბოლოოდ წინსვლას მიაღწევს. ამის გაცნობიერება და სამართლიანი სასამართლო პროცესის მოთხოვნა, ნაცვლად ქართული ხელისუფლების ნაჩქარევი განკითხვისა და დაგმობისა, დაეხმარებოდა საქართველოს ჭეშმარიტ მეგობრებს ამ მოვლენებზე რეაგირებაში“.

„პირველი“

„გორგიასთან“ საქმის დაჭერას არავის ვურჩევ!“

დაზარალებული კლიენტის პრეტენზიებს კომპანიის კომერციული დირექტორი ექსკლუზიურად „ვერსიაში“ პასუხობს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

სახლის გარემონტება ცხოვრებაში ერთხელ მაინც ყველას გვიწევს. რემონტით გამოწვეულ დისკომფორტს კი მუშების დაუდევრობა ან სამშენებლო კომპანიის შეცდომები ერთიორად ზრდის. ფაქტია, როცა არჩევანს შედარებით ძვირადღირებულ კომპანიაზე აკეთებ და არა რომელიღაც უსახელო კუთხის მაღაზიაზე, უკეთესი ხარისხის პროდუქციასა და მომსახურებასაც ელი. ასეთი მოლოდინი აქვს მომხმარებელს მაგალითად სამშენებლო და სარემონტო მასალების ჰიპერმარკეტ „გორგიასგან“, რომელიც ბაზარზე ამიერკავკასიაში ლიდერის წოდების მოპოვების დიდი ამბიციითა და ხმამაღალი განაცხადით შემოვიდა. არადა, „გორგიას“ მომსახურებით უკმაყოფილოთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. დაზარალებულთაგან ერთ-ერთი კი, საინფორმაციო სააგენტო „პირველის“ დირექტორი დიმიტრი ტიკარაძე ჰიპერმარკეტს ფაქტებით ამხელს.

დიმიტრი ტიკარაძე კომპანიას არაპროფესიონალიზმის, უპასუხისმგებლობისა და ტყუილებზე აგებული ბიზნესის ნათელ მაგალითს უწოდებს და მასთან საქმის დაჭერას არავის ურჩევს, რა თქმა უნდა საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით. **დიმიტრი ტიკარაძე: „მიმდინარე წლის აპრილში სახლში რემონტი დავიწყეთ. რემონტი აგვისტოს ბოლოს დასრულებული უნდა ყოფილიყო. სააბაზანო და საპირფარეშო გავაერთიანეთ. შესაბამისად, ცოტა არასტანდარტული ვითარება შეიქმნა და პირველ რიგში, სასურველი აბაზანისა და საშხაპე კაბინის შერჩევა გადავწყვიტეთ. მივედით „გორგიაში“, ლუქსგანყოფილებაში, სადაც წესით, საუკეთესო პროდუქცია და მომსახურება უნდა ყოფილიყო. შევარჩიეთ აბაზანა, რომელიც, მათი თქმით, გერმანიაში მზადდებოდა. ჩემი შეკვეთა თვენახევარში უნდა ჩამოსულიყო. აბაზანა 6 000 ლარამდე ჯდებოდა. თანხის ნაწილი წინასწარ გადავიხადე. მალე ისევ „გორგიაში“ მდფ-ის 5 კარი შევუკვეთეთ. თანხაში, ცხადია, კარის მონტაჟი და ხელოსნების მოყვანაც შედიოდა, რაც ასევე „გორგიას“ უნდა უზრუნველეყო. წინასწარ შევთანხმდით კარის ღიობის ზომაზე, ჩარჩოებზე... სხვა ხელოსნებს აღარ დავლაპარაკებივარ, რადგან ეს კომპანია საკუთარი ხელოსნების გამოშვებას გეგმავდა. შევთანხმდით, რომ კარი 5-5 სანტიმეტრით უნდა ჩამოეჭრათ. როცა ყველაფერი მოგვარებული მეგონა, აღმოჩნდა, კარის შესაძლო დაზიანებაზე ხელოსანი პასუხისმგებლობას არ იღებდა — კარი რომ ჩამოიჭრას, შეიძლება დაიშალოსო. რამდენიმე დღეში „გორგიადან“ დამირეკეს და მითხრეს, სხვა ხელოსანს ვუშვებთ, რომელიც ყველაფერს მოაგვარებსო.**

როგორც იქნა, კარი მოიტანეს და დააყენეს, მაგრამ კარსა და ჩარჩოებს შორის დიდი ნაპრალები დაუტოვებიათ, ადგილ-ადგილ ჩარჩოებიც გადაკერებული იყო ერთმანეთზე. ხელოსანმა გამომიცხადა, რა არ მოგწონს, ჩარჩო „ბრაკი“ იყო და ხარვეზები დავმალეო. ხარვეზი მე, კლიენტს დამიმალა?! ერთკვირიანი ზარების შედეგად ჩარჩოები გამომიცვალეს“.

იმის მიუხედავად, რომ კარის დაყენებისას ტიკარაძეს „გორგიამ“ პრობლემა ერთხელ უკვე შეუქმნა, უკვე გაკეთებული შეკვეთის გაუქმება და ძვირადღირებულ აბაზანაზე უარის თქმა არ უფიქრია. თვენახევრის შემდეგ, როცა გერმანული აბაზანა საქართველოში ჩამოვიდა, კლიენტს „გორგიაში“ უთხრეს, ხელოსანს ერთი კვირა არ ეცლებაო, ხოლო მას მერე, რაც კლიენტისთვის მოიცალეს, აღმოჩნდა, რომ მარჯვენა კუთხის აბაზანის ნაცვლად, მარცხენა ჩამოუტანიათ. ამის შემდეგ მოვლენები უფრო კომიკურად განვითარდა: **„მითხრეს, თვენახევარი კიდევ დაელოდეთ და ახალ აბაზანას ჩამოგიტანთო. დავთანხმდი, ოღონდ აგვისტოში უკვე გარემონტებულ სახლში გადასვლას ვაპირებდი და მეჩქარებოდა. დამპირდნენ, საქმეს პირად კონტროლზე ავიყვანთო. ვიდრე ახალი აბაზანა ჩამოვიდოდა, ამ შუალედშიც მქონდა პატარა თავგადასავალი. ბავშვის საწოლიც „გორგიაში“ შევარჩიე, გადაწყვეტილება მივიღე და შაბათ დღეს მენეჯერს ვთხოვე, საწოლი კვირამდე შეენახათ. თავად მითხრეს, ორშაბათს მოდით და დაგახვედრებთო, ორშაბათს კი საწოლი უკვე გაყიდული დამხვდა და მერე მყიდველისგან 100 ლარით ძვირად „გამოვისყიდე“. ამასობაში, თვენახევრის ნაცვლად, ორთვენახევარი გავიდა და „გორგიაში“ ყოველდღე მატყუებდნენ, აბაზანა დღე დღეზე ჩამოვაო. ამ საქმეში იმპორტის მენეჯერი და სხვა ხალხი ჩაერთო. ბოლოს იქამდე მივედით, ივლისის დასაწყისში დაპირებულ აბაზანაზე მითხრეს, 24-დან 26 აგვისტომდე უკვე თბილისში იქნებაო. რა თქმა უნდა, ისევ მომატყუეს; მერე, 28 აგვისტოს ხელოსანი დასალევად წავიდა. ამაზე უკვე ძალიან გავბრაზდი და 29 აგვისტოს 11 საათამდე მივეცი ვადა — თუ ამ ვადასაც გადააცილებთ, შეკვეთას გავაუქმებ-მეთქი. რა თქმა უნდა, ვადას ისევ გადააცილეს და იმ ორივე მენეჯერთან დავიწყე რეკვა, ვისაც ამ დროის განმავლობაში ვეკონტაქტებოდი. არცერთმა მიპასუხა. მთელი დღე ხან სად ვრეკე, ხან სად... მეუბნებოდნენ, აი, თბილისში შემოვიდა, ჩამოიტვირთა, მოდის, გზაშიაო... ღამის 11 საათზე მოვიდა ბიჭი, მომიტანა აბაზანა, გავხსენინთ და ისევ მარცხენა კუთხის აღმოჩნდა. შოკში ჩავვარდი. მეორე დღეს „გორგიაში“ მივედი და ერთ-ერთ ხელმძღვანელ პირს, მიხეილ ავალიანს შევხვდი, რომელმაც ბოდიშები მიხადა და ორდღიანი ვადა მთხოვა გამოსავლის მოსაძებნად. მართლაც დამირეკა, შეხვედრაზე მივედი და 2 ვარიანტი შემომთავაზა: წაიღე ფული და დაგვიბრუნე აბაზანა, ან ექსპრესით ჩამოვიტანთ ახალ აბაზანას და 500 ლარსაც დაგიკლებთო. ამ ექსპრეს-შეკვეთის ლოდინი კი კვლავ თვეზე მეტხანს მიწევდა. ეს უაზრო კომპენსაცია იყო იმ ფონზე, რომ ნახევარი წელი, „გორგიას“ ანგარიშზე 6 000 ლარი ანაბარივით მედო“.**

მიხეილ ავალიანი ტიკარაძეს იმასაც სთხოვდა, ამ ამბავს მედიასაშუალებებით ნუ გაავრცელებო, თუმცა დაზარალებული კლიენტისთვის კომპანიის შეთავაზება მიუღებელი აღმოჩნდა — მომსახურების ვერგაწევის შემთხვევაში ფულის დაბრუნება, შეთავაზება კი არა, აქსიომაა. „გორგიას“ სიურპრიზები არც ამით დასრულებულა. ერთი კვირის მერე, როგორც იქნა, გადახდილი თანხა დიმიტრი ტიკარაძეს დაუბრუნეს, თუმცა არასრულად. როგორც მოგვიანებით გაირკვა, „გორგიამ“ მსხვილ კლიენტს, საჩუქარი, ანუ საშხაპე სისტემა დაკლებულ 870 ლარში გაუქვითა: **„რამდენიმე დღეში ჩემთან გამოუშვეს ადამიანი, რომელიც ხელოსანიც კი არ აღმოჩნდა. უბრალოდ თანამშრომელი ვარ, მოხსნა-დამონტაჟება ვიცი, — მითხრა და ნაჩუქარი საშხაპე სისტემა უკან წაიღო. მოკლედ, როცა საჩუქარიც წამართვეს, მთელი თანხა მხოლოდ მაშინ დამიბრუნეს. ასეთია ჩემი ისტორია, ამიტომაც ყველას ვაფრთხილებ — არავინ წავიდეს „გორგიაში“ და არ ისარგებლონ მათი მომსახურებით, რომელიც არც იაფია და არც ხარისხიანი. ეს ჩემი პირველი შეხება იყო ამ კომპანიასთან და ალბათ, უკანასკნელიც. როგორც ჩანს, მისმა რეკლამამ შეცდომაში შემიყვანა“,** — აცხადებს ტიკარაძე, რომელიც „გორგიას“ პროდუქციის წარმომავლობითაც ინტერესდება და მიიჩნევს, რომ რამდენიმე თემა მომავალში ჟურნალისტური გამოძიების საგანიც შეიძლება გახდეს.

„ვერსია“ „გორგიას“ ხელმძღვანელობასთან დაკავშირებას შეეცადა და პირველი უშედეგო მცდელობის შემდეგ, კომპანიის კომერციულ დირექტორს, **მიხეილ ავალიანს** პირადად შეხვდა.

— ბატონო მიხეილ, ტიკარაძის ისტორია კარგად იცით — ამ ტიპის შეცდომებს რამდენად ხშირად უშვებთ იმ ფონზე, რომ რეგიონში ლიდერობის პრეტენზია გაქვთ?

— „გორგია“ დღეს ლიდერია საქართველოში და ვცდილობთ, ყოველდღე წინ წავიდეთ. ლიდერობა არ ნიშნავს, რომ შეცდომა არ მოგვდის. უცხოეთიდან მართლაც ჩამოვიდა აბაზანა, რომელიც წუნდებული არ იყო, უბრალოდ, აგვერია. გვყავს პარტნიორები ევროპაში, ვინც ამ აბაზანებს ამზადებს. დავუკავშირდით და საქმის არსი ავუხსენით. ეს ტექნიკური შეცდომა იყო, თავს არ ვიმართლებთ. ამ მომენტში ჩვენს პარტნიორებთან ისევ ვაზუსტებთ, რა მოხდა და რატომ ჩამოვიდა მეორე აბაზანა ისევ შეცდომით. ეს სამწუხარო ფაქტია და ასეთი რამ ჩვენს პრაქტიკაში არასოდეს მომხდარა.

— ორთვიანი დაგვიანების ფაქტიც პირველია თქვენს პრაქტიკაში?

— მოხდა ტექნიკური ხარვეზი, რის გამოც პირადად მოვუხადე ბატონ დიმიტრის ბოდიში. თქვენი მედიასაშუალებითაც ვუხდი ბოდიშს. კომპენსაციაც შევთავაზეთ — ჩვენი ხარჯით, ექსპრესმომსახურებით ახალ აბაზანას, ასე ვთქვათ, თავის ფასში, 500-ლარიანი ფასდაკლებით ჩამოგიტანთ-მეთქი, თუმცა შეთავაზება მისთვის მისაღები არ აღმოჩნდა. გვითხრა, დამიბრუნეთ ჩემი თანხა და ამით დავასრულოთ ურთიერთობაო. რა თქმა უნდა, თანხის სრულად დაბრუნებაზე დავთანხმდით. მეტიც, დღესაც მზად ვართ, თუკი ჩვენგან რაიმე კომპენსაციას ელის, ავუნაზღაუროთ, უბრალოდ უნდა გვითხრას ამის შესახებ. გარწმუნებთ, რაც უნდა მოხდეს, ყოველთვის კლიენტის მხარეს ვართ.

— და ამიტომ წაართვით ნაჩუქარი საშხაპე სისტემა?

— მას ეს საკმაოდ ძვირადღირებული საჩუქარი იმ შემთხვევაში გადაეცემოდა, თუკი აბაზანას შეიძენდა; თანაც მითხრა, საშხაპე სისტემა თავად მქონდა ნაყიდი და თქვენი არაფერში მჭირდებაო. შესაბამისად, საშხაპე სისტემა უკან წავიღეთ და მას თანხა სრულად ჩაერიცხა.

— გარდა ამისა, 5 კარიც თქვენთან შეუკვეთა და როგორც აღმოჩნდა, მათი დაყენებისას დაზიანებაზე პასუხისმგებლობას თავიდან იცილებდით. ასე იყო?

— ბატონი დიმიტრი ამ თემაზეც მესაუბრა. მას ჩვენთვის კარის გამოცვლა ან მსგავსი რამ არ უთხოვია. რაც მოგვთხოვა, ყველაფერი ავუნაზღაურეთ და ჩვენს წინაშე რა პრობლემაც დააყენა, მოვუგვარეთ. ბატონ დიმიტრის კიდევ ერთხელ ვუხდით ბოდიშს, ეს ჩვენი ხარვეზია და ნებისმიერი ადამიანი თუ კომპანია საკუთარ შეცდომებზე სწავლობს.

P.S. „გორგიას“ პოზიცია დიმიტრი ტიკარაძესაც გავაცანით და იმედია, ამის შემდეგ კლიენტი და კომპანია გამოსავალს მოძებნიან. იმის იმედიც გვაქვს, რომ მსგავსი შემთხვევები აღარ განმეორდება და საქართველოში ზოგადად მომსახურების სფეროში შექმნილი პრობლემებიც მოგვარდება. სხვათა შორის, მომსახურების დაბალი დონეა სწორედ ამ მასალის დაწერის მიზეზი. სამწუხაროდ, ხშირად, ჰიპერმარკეტებსაც და მსხვილ კომპანიებსაც ეშლებათ კლიენტთან მომსახურების წესები, ურთიერთობის ნორმები, სტანდარტები და ავიწყდებათ ყველაზე მთავარი — კლიენტი ყოველთვის მართალია! თუ „გორგიას“ სარეკლამო ბილბორდების პათოსით ვიმსჯელებთ, ამ კომპანიას საკმაოდ მრავალფეროვანი მომსახურების გაწევა შეუძლია შეღავათიან ფასში — თუმცა დაბალი ფასი დაბალი დონის მომსახურებას არ ნიშნავს, მით უმეტეს, როცა არც ფასია მაინცდამაინც დაბალი.

ვერსიანიუსი

„საპოლიციო კონტროლს საზოგადოება დადებითად აფასებს“

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ლევან იზორიას განმარტებით, საპოლიციო კონტროლი მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ხორციელდება. პოლიციელები კი, კანონის დაცვით და მაქსიმალური სიზუსტით ასრულებენ სამუშაოს: **„ეს არ არის რეიდები, როგორიც იყო საბჭოთა კავშირში. არც 20 წლის განმავლობაში პოლიციის კანონში ჩარჩენილი რეიდების რეგულაცია. ეს არის სრულიად ახალი საპოლიციო კონტროლი, რომელიც აბსოლუტურად ყველანაირ ევროპულ სტანდარტს შეესაბამება. ეს ღონისძიება, პირველ რიგში, პრევენციულ ღონისძიებებს ემსახურება. მიზანია, თავიდან ავიცილოთ ყველანაირი დანაშაული. საპოლიციო კონტროლს პოლიციელები ასრულებენ კანონის სრული დაცვით და მაქსიმალური სიზუსტით. შედეგიც ძალიან კარგია. საზოგადოებაც ამას პოზიტიურად აღიქვამს“.**

იზორიას განცხადებით, მინისტრის ბრძანებით, ამ ღონისძიების კანონიერი კონტროლი დაევალა გენერალურ ინსპექციას და, თუ რაიმე დარღვევა იქნა სამართალდამცველთა მხრიდან, ამას გენერალური ინსპექცია შეისწავლის.

ლევან იზორიას განცხადებით, საპოლიციო კონტროლისთვის მათ სპეციალური გადამზადება და ინსტრუქცია ჩაუტარდათ: **„როგორც კი ახალი კანონი მივიღეთ, რამდენიმე თვე გაგრძელდა პრაქტიკული შესწავლა და პოლიციელთა გადამზადება. ერთია, რომ პოლიციელმა იცის, რა ფარგლებში უნდა იმოქმედოს მოქალაქესთან და მეორეა, მოქალაქემ იცოდეს, რა ფარგლებში აქვს პოლიციელს მოქმედების საფუძველი. ხშირად, როცა მოქალაქეს აქვს პრეტენზია, არ იცის, პოლიციელს ზედაპირული დათვალიერებისა და შემოწმების უფლება რომ აქვს, ხოლო ჩხრეკის უფლება გააჩნია, როცა სამართლებრივი საფუძველი წარმოიქმნება“.**

საპოლიციო კონტროლი დადებითად შეაფასა პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა. მისი თქმით, ოპონენტები ამ თემით სპეკულირებენ, არადა ამგვარი კონტროლი, ევროპაში აპრობირებული მეთოდია, რომელიც ყოველთვის ამართლებს.

ირაკლი ღარიბაშვილმა პოლიციასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მადლობა გადაუხადა და მეტი აქტიურობისკენ მოუწოდა.

„პირველი“

„ნაღმი“ ვაკეში

ჭავჭავაძის გამზირზე 20-სართულიან კორპუსს უსაფრთხოების ნორმების დარღვევით, გაზგამანაწილებელ სადგურთან აშენებენ

მაია მიშელაძე
593-51-90-12

დაახლოებით წელიწადნახევრის წინ, „ვერსიაში“ გამოქვეყნდა სტატია, რომელიც ვაკის შუაგულში, ჭავჭავაძის გამზირის №29/31/33-ის ტერიტორიაზე, 20-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობას ეხებოდა. ახალი კორპუსი წლების წინ აშენებულ მრავალსართულიან კორპუსსა და ხეჩინაშვილის სახელობის კლინიკას შორის, თურქეთის საელჩოს მიმდებარედ, კანონდარღვევითა და უსაფრთხოების ნორმების უგულებელყოფით შენდება. კორპუსის ასაშენებლად, რეკრეაციული ზონიდან მრავალწლიანი ხეები უკანონოდ, შუაღამისას, თითქმის ქურდულად მოჭრეს და ამ ფაქტის დამადასტურებელი ფოტომასალაც გამოვაქვეყნეთ. იმასაც ვწერდით, რომ კულუარული ინფორმაციით, წლების წინ მშენებლობის ნებართვა, სავარაუდოდ, თბილისის ექსმერმა გიგი უგულავამ გასცა და ხეებიც უგულავას ბრძანებით მოჭრეს. ამ წელიწადნახევრის განმავლობაში, საქმეში ახალი დეტალები გამოიკვეთა და „ვერსიას“ ჭავჭავაძის №29/31/33-ის მცხოვრებთა სახელით, ამხანაგობა — „ჭავჭავაძე-ვაკე 2001“-ის ადვოკატი მიხეილ ქებურია დაუკავშირდა.

მიხეილ ქებურიას განმარტებით, ამხანაგობა — „ჭავჭავაძე-ვაკე 2001“-ის წარმომადგენლებმა მიაკვლიეს კანონს, რომლის მიხედვით, ნებისმიერი ტიპის მშენებლობა გაზგამანაწილებელი სადგურიდან 10 მეტრის რადიუსშია დასაშვები. ჭავჭავაძის №29/31/33-ში მცხოვრებთა განცხადებით, მათ კორპუსსა და ხეჩინაშვილის სახელობის კლინიკას შორის მდებარეობს გაზგამანაწილებელი სადგური, რომლითაც ბუნებრივი აირი ვაკის რაიონის მოსახლეობას მიეწოდება. 20-სართულიანი კორპუსის მშენებლობა კი კანონდარღვევით მიმდინარეობს, რადგან 10-მეტრიანი დაშორება დაცული არ არის. ახალი კორპუსის საძირკველი გაზგამანაწილებელ სადგურს ემიჯნება, რაც საფრთხეს უქმნის, როგორც უკვე არსებული კორპუსის ბინადართ, ასევე ხეჩინაშვილის სახელობის კლინიკასა და თურქეთის საელჩოს: **„ყაზტრანსგაზთბილისს“ ამის შესახებ უნდა სცოდნოდა. მათ კანონი არაფრად ჩააგდეს და მშენებლობის ნებართვა გასცეს. 90-იანი წლების დასაწყისში, ყოფილი 5 დეკემბრის ქუჩაზე, სწორედ იმ**



KazTransGas TBILISI

შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“
ООО "КАЗТРАНСГАЗ-ТБИЛИСИ"

№ 01-09/787 «25» 04 2014 წ/г

თბილისი, ფალიაშვილის 114
შპს "მოყვასი 2012" -ის დირექტორს
ბ-ნ თედო სვანიძეს
ტელ: 599140786

თქვენი აწლის 15 აპრილის №2869 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თბილისში, ჭავჭავაძის 29-31-33-ში დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების წარმოება შესაძლებელია იმ პირობით, რომ ნაკვეთის მიმდებარედ გამავალი გაზსადენები და წნევის რეგულატორი არ დაზიანდება და არ მოყვება შენობა-ნაგებობაში.

პატივისცემით,
სპეციალური მმართველი
ი. გაბუნია

შემსრულებელი:
ს. ნოსახაძე
ტელ: 237 39 21

მიზეზით, რომ საცხოვრებელ კორპუსთან ახლოს გაზგამანაწილებელი სადგური მდებარეობდა, ავარია მოხდა და მთელი კორპუსი ჩამოინგრა“.

ქებურიას განცხადებით, ამხანაგობა „ჭავჭავაძე-ვაკე 2001“-ის წევრებს ხელთ აქვთ სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა, რომელშიც პირდაპირ წერია, რომ სამშენებლო კომპანია შპს „მოყვასი 2012“ კანონდარღვევით აპირებს საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობას, რადგან გაზგამანაწილებელი სადგურიდან კორპუსამდე 10-მეტრიანი დაშორება დაცული არ არის. სწორედ ამის გამო, თბილისის მერიის იურიდიულმა სამსახურმა 2014 წლის გაზაფხულზე, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო. თავის დროზე, მერიის მიერ გაცემული ნებართვა, რაც ვაკის ცენტრში, ყოფილი ჩოგბურთის მოედანზე 20-სართულიანი კორპუსის მშენებლობას ეხებოდა, გააუქმა და მშენებლობა შეაჩერა. ქებურია აღნიშნავს, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში, ერთი შემთხვევაც კი არ დაფიქსირებულა, თბილისის მერიას, მის მიერვე მიღებული გადაწყვეტილება გაეუქმებინა: **„სხვათა შორის, მერიის იურიდიულმა სამსახურმა კორპუსის მშენებლობა მხოლოდ მას შემდეგ შეაჩერა, რაც თბილისის ექსმერს, გიგი უგულავას უფლებამოსილება შეუჩერდა. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ობიექტური გადაწყვეტილება იყო, მაგრამ სამშენებლო კომპანია „მოყვასი 2012“-ის წარმომადგენლებმა გადაწყვეტილება გაასაჩივრეს. მოსამართლე ხაჟომიამ კი, რომელმაც ზუსტად ორ დღეში „მოასწრო“ საქმის განხილვა, „უნიკალური“ განაჩენი გამოიტანა — თბილისის მერიის იურიდიული სამსახურის გადაწყვეტილება გააუქმა და სამშენებლო კომპანიამ მშენებლობა განაახლა“.**

მიხეილ ქებურიას განცხადებით, მოსამართლე ხაჟომიას გადაწყვეტილებას უსწრებდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის, ქეთევან ბოჭორიშვილის წერილი, რომლითაც მან „ყაზტრანსგაზთბილისის“ სპეციალურ მმართველს, ირაკლი გაბუნიას მიმართა. მოვლენები ასე განვითარდა, ვიდრე მერიის იურიდიული სამსახურის გადაწყვეტილებას სასამართლოში გაასაჩივრებდა, შპს „მოყვასი 2012“-ის წარმომადგენლებმა ეკონომიკის მინისტრის მოადგილეს სამართლიანობის აღდგენის მიზნით მიმართეს და „დაჩაგრული“ ბიზნესმენების მანტიაც კარგად მოირგეს. ბოჭორიშვილმა „ყაზტრანსგაზთბილისის“ სპეციალურ მმართველს სთხოვა, ბიზნესმენების თხოვნა გაეთვალისწინებინა და გაზგამანაწილებელი სადგური, რომელიც მშენებლობის შეჩერების საფრთხეს ქმნიდა, გადაეკეთებინა. ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ წერილში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბიზნესმენებს, რომლებიც რამდენიმემილიონიანი ინვესტიციის განხორციელებას აპირებენ, საფრთხე არ უნდა შეექმნათ.

მიხეილ ქებურიამ „ვერსიას“ კომპანია „ყაზტრანსგაზთბილისის“ სპეციალური მმართველის ოფიციალური წერილიც გადასცა. ირაკლი გაბუნია შპს „მოყვასი 2012“-ის ხელმძღვანელებს მიმართავს: **„სამშენებლო სამუშაოების წარმოება შესაძლებელია იმ პირობით, თუ ნაკვეთის მიმდებარედ გამავალი გაზსადენები და წნევის რეგულატორი არ დაზიანდება ან არ მოჰყვება შენობა-ნაგებობაში“**. წერილში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ კანონით სამშენებლო სამუშაოები გაზსადენიდან 10 მეტრის რადიუსშია შესაძლებელი.

„ყაზტრანსგაზთბილისის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში „ვერსიას“ განუმარტეს, რომ კანონით უფლება არ აქვთ, რომელიმე კომპანიას მშენებლობის ნებართვა შეუჩერონ. კომპანიაში განმარტეს, რომ ეს თბილისის მერიის გადასაწყვეტია. თუკი შპს „მოყვასი 2012“ უსაფრთხოების ნორმებს არღვევს, თუნდაც ეს გაზგამანაწილებელ სადგურსა და სამშენებლო ობიექტს შორის კანონით დადგენილ საზღვრებს ეხება, მშენებლობის შეჩერების უფლება მაინც მერიას აქვს და „ყაზტრანსგაზთბილისი“ ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს.

მასალა დასაბეჭდად მზად იყო, როცა ქებურიამ გვაცნობა, თბილისის მერიამ ისევ მიიღო მშენებლობის შეჩერების გადაწყვეტილებაო. 2014 წლის 6 სექტემბერს, დედაქალაქის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, უსაფრთხოების ნორმების დარღვევის გამო, შპს „მოყვასი 2012“-ს მშენებლობის უფლება ჩამოართვეს. მიუხედავად ამისა, ადვოკატიც და ამხანაგობის წევრებიც აცხადებენ, რომ ეს საკმარისი არ არის, რადგან მშენებლობა აქამდეც რამდენჯერმე შეაჩერეს და განაახლეს, მერიის გადაწყვეტილების გასაჩივრება კი, კომპანიას ამჯერადაც შეუძლია.

სხვათა შორის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეს, ქეთევან ბოჭორიშვილს, 2014 წლის 10 ივნისს, ამხანაგობა „ჭავჭავაძე-ვაკე 2001“-ის თავმჯდომარემაც მიმართა, განმარტა საქმის ვითარება და ისიც, რომ „მოყვასი 2012“-ის წარმომადგენლები სულაც არ არიან დაჩაგრული ბიზნესმენები. კანონით, მინისტრის მოადგილე ვალდებული იყო, წერილობითი პასუხი 15 დღის ვადაში მოემზადებინა. მის სახელზე 10 ივნისს გაგზავნილი წერილის პასუხს კი ამხანაგობის წევრები დღემდე ელიან.

წინა ხელისუფლების პირობებში, ბიზნესმენების ჩაგვრა, მათთვის ხელების გადაგრეხა და ამ გზით წილების დათმობა-გადაფორმება აპრობირებული მეთოდი იყო. ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების მიერ დაჩაგრული ბიზნესმენები სამართლიანობის აღდგენას სულმოუთქმელად ელიან, მაგრამ ჭავჭავაძის №29/31/33-ის მაგალითზე, ისეთი ბიზნესმენებიც აღმოჩნდნენ, რომლებიც სამართლიანობის აღდგენის მოტივით, საკუთარი დანაშაულისა და კანონდარღვევის გადაფარვას ცდილობენ. „ვერსიაში“ ვწერდით, რომ 40-მდე მრავალწლიანი ხე ყოველგვარი ნებართვის გარეშე მოჭრეს. თავად განსაჯეთ, ვაკის ცენტრში, ასეთ უკანონობას გიგი უგულავას თანხმობის გარეშე, რომელი თავზეხელაღებული ბიზნესმენი გაბედავდა? ამ ტერიტორიაზე უკვე არსებული კორპუსის მაცხოვრებელები მაშინ იმასაც ამბობდნენ, რომ მშენებლობისას წითელი ხაზების ზოლი დარღვეული იყო — ძველ და ახალ კორპუსებს შორის, დაახლოებით 7-8-მეტრიანი დაშორება უნდა ყოფილიყო, რაც შპს „მოყვასი 2012“-ის წარმომადგენლებმა ასევე არ გაითვალისწინეს.

ვერსიანიუსი

ებრაელი ბიზნესმენები საქართველოში მსხვილ პროექტებს განახორციელებენ

საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და ებრაელი ბიზნესმენების შეხვედრაზე ცნობილი გახდა, რომ ისრაელის საინვესტიციო კომპანიების წარმომადგენლები საქართველოში მსხვილი ეკონომიკური პროექტების განხორციელებით დაინტერესდნენ.

ირაკლი ღარიბაშვილმა ბიზნესმენებს მთავრობის ადმინისტრაციაში უმასპინძლა და ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემოს, ასევე მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. ებრაული საინვესტიციო კომპანიების, Kitaiminvest-ის, Plarium-ის და Pegasus East West-ის წარმომადგენლებმა ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობისა და ინფრასტრუქტურის მიმართულებით საქართველოში მსხვილი პროექტების განხორციელების სურვილი გამოთქვეს. ბიზნესმენებმა საქართველოს ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების განვითარების სააგენტოში 100 ათასი დოლარის ოდენობის შემოწირულობაც განახორციელეს. საქართველოს მთავრობა აღნიშნულ საინვესტიციო კომპანიებთან მაღალი ტექნოლოგიების განვითარების სფეროში მჭიდრო თანამშრომლობას გეგმავს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე დიმიტრი ქუმსიშვილი და ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილი დაესწრნენ.

„პირველი“

დამბალხაჭოს ძეგლის სტატუსი მიენიჭა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ დამბალხაჭოს არამატერიალური ძეგლის სტატუსი მიანიჭა. დამბალხაჭო (დამბალი ხაჭო) ტრადიციული ფშავური საკვებია. მზადდება კარაქის შედღვების შემდეგ დარჩენილი დოს ხაჭოსაგან. მარილში გადაზელილ ხაჭოს კვერებს რამდენიმე დღე უმზეოდ აშრობენ წნელისაგან მოწნულ სპეციალურ სათავს ძობანში, რომელიც ხშირად შუაცეცხლის თავზე, ამავალი კვამლის ზევით ჰკიდია. გამშრალ ხაჭოს კვერებს დასალბობად ალაგებენ თიხის ქოთანში. ჰერმეტულობისა და მუდმივი ტემპერატურის შესანარჩუნებლად ქოთანი შეიძლება მიწაში იყოს დაფლული. ასე ლბება ხაჭოს კვერები დაახლოებით 1,5-2 თვის განმავლობაში. ლბობის პროცესში გარედან იკიდებს „კეთილშობილ ობს“, რომელიც გემრილიცაა და სასარგებლოც. ობიანი კანის შიგნით ხაჭოს კვერები ლბება და სასიამოვნო ოქროსფერს იღებს. დღეისთვის ფშავსა და ფშაველებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში კვლავაც შემორჩენილია დამბალხაჭოს არა მხოლოდ კეთების (ოჯახში მოსახმარად), არამედ სარეალიზაციოდ წარმოების ტრადიცია. სარეალიზაციოდ არაგვისა და ივრის ხეობის სოფლებში დაახლოებით 20-25 ოჯახი ინტენსიურად ამზადებს დამბალხაჭოს უძველესი ტექნოლოგიით. ომში, სხვა შესაბამის საგზალთან ერთად, ფშაველ მეომრებს საკვებად, გამძლეობისა და სიმსუყის გამო, სწორედ დამბალხაჭო მიჰქონდათ.

bpn.ge

მძივებად ასხმული ჩაი და დიმიტრი ყიფიანის თავდადება

როგორ ჩაჰქონდა ყიფოს კარცერში აკრძალული ნივთები

პატიმარი №0578

„ამათ უნდათ, პატიმრები შეაძულონ ხალხს, თითითსაჩვენებლები რომ ვიყოთ, ქვეყნის დამაქცევარი ერქვას თითოეულ ჩვენგანს და ხალხმა ქუჩაში ჩაგვქოლოს. ამიტომ გააქრეს „ქურდები“ ზონიდან. ვისაც „ქურდი“ არ უნახავს, ჰგონია, ორთავიანია ან სამი ხელი აქვს. „ქურდები“ მონსტრებად წარმოაჩინეს. ეს კარგს არაფერს მოიტანს. თავადაც ხომ ხედავ, პატიმრების უმრავლესობა ტყუილადაა დაჭერილი და ეს ლაქა — ნაციხარი, ცხოვრების ბოლომდე უნდა გაჰყვეს“, — ეს სიტყვები რუსთავის №17 დაწესებულების მაყურებელმა 2011 წელს უთხრა პატიმარს, ნომრით 0578.

რეალურად, ნაციონალების ხელისუფლება მართლაც ამ გზაზე იდგა და ბედისანაბარა მიტოვებული პატიმრები ცდილობდნენ, ერთმანეთს გაფრთხილებოდნენ. გაფრთხილება განსაკუთრებით მათ სჭირდებოდა, ვინც ციხეში პირველად ხვდებოდა და ყველაფერს პირდაღებული ათვალიერებდა...

ერთ დღეს, რუსთავის ზონაში, პატიმრების ახალი ნაკადი მიიყვანეს. ოცამდე მსჯავრდებულიდან ერთი აშკარად გამოირჩეოდა — ტანის რიტმული რხევით, თითქოს ცეკვით მოდიოდა და თვალებსაც ისე აბრიალებდა, თითქოს ამბობდა, არაფერი შეგეშალოთო.

„უეჭველი, თბილისელი იქნება, თან ნაღდი თბილისელი, ნახე, რა „დერზკია“. პატარაა, მაგრამ „დერზკი“, — გაეღიმა ზონის მაყურებელს. მეორე დღეს მაყურებლების კამერაში „ბლატატა“ ჩაის სვამდა, როცა გარეთ ჩოჩქოლი ატყდა. ჩოჩქოლი მალე სერიოზულ ხმაურში გადაიზარდა, მაყურებლებმა კი საკნის კარი გამოაღეს.

„რა ხდება მანდ, ვინ ჭიჭყინებს?“, — დაიძახა ერთ-ერთმა ხმამაღლა. „ჭიჭყინი“ სწორედ ის სიტყვა იყო, რომელიც ზუსტად ასახავდა იქაურ ხმებს.

„ახალი მოსული პატიმარი „ხიპიშობს“, რაღაც არ მოეწონა“, — უპასუხეს მაყურებელს, რომელმაც ღიმილით გასძახა, ჩვენთან მოიყვანეთო.

„თქვენთან მოვდიოდი, ტო, მაგრამ გზაზე ეს დამეჯახა. ამხელა პრახოდია კარიდორში, ეს კიდევ მაინცდამაინც მე დამეჯახა. მე დიტო ვარ, ყიფიანი, ყიფოს მეძახიან, ვერელი ვარ“, — ამაყად თქვა ახალმა.

„ხომ გითხარით, თბილისელი იქნება-თქო?!“ — გაეღიმა მაყურებელს. მერე მოჩხუბრები ერთი სიტყვით შეარიგა და ყიფო გვერდით მოისვა. მას შემდეგ ყიფოს მთელი ზონა იცნობდა და ყველას უყვარდა, რადგან ჭიჭყინის გარდა, საქმის კეთებაც იცოდა, ყველაფერი გულთან მიჰქონდა. ცდილობდა, დაემალა, მაგრამ, როცა რომელიმე პატიმრის ოჯახის წევრის გარდაცვალების ამბავს გაიგებდა, თვალზე ცრემლი ადგებოდა.

ერთ დღეს ყიფო მაყურებელმა გვერდით დაისვა და მშვიდად ჰკითხა: „ყველაფერი კარგი, მაგრამ შენზე მითხრეს, კითხვა დიდად არ ეხატება გულზეო. პატარა ბიჭი ხარ, მომავალი წინ გაქვს, იკითხე, გარეთ ამდენი დრო არ გექნება. წიგნი თუ არ გაქვს, ზონა სავსეა გარედან შემოტანილი წიგნებით და აარჩიე რამე“...

ყიფომ წაიდუდღუნა, ვკითხულობო, მაგრამ ცხადი იყო, წიგნთან დიდად არ მეგობრობდა. ერთ დღეს კი, ყველასთვის მოულოდნელად, ვითარება რადიკალურად შეიცვალა — ყიფოს მაყურებელმა დაუძახა, იქიდან გამოსულს გულზე წიგნი ჰქონდა მიხუტებული და თავის საკნისკენ თავდახრილი მიდიოდა.

„რა წიგნია?“ — ჰკითხა პატიმარმა №0578-მა. ყიფო გაჩერდა, ბავშვური თვალები შეანათა და წიგნი სათუთად უჩვენა. ყდაზე ოქროსფერი ასოებით ეწერა — „დიმიტრი ყიფიანი“.

„ეს წიგნი უეჭველი უნდა წავიკითხო“, — გაიღიმა ყიფომ. მომდევნო ორი დღე საკნიდან არ გამოსულა. შემდეგ კი, სხვა წიგნებიც მოიმარაგა და მთელ დღეებს კითხვაში ატარებდა. ჯერ სათავგადასავლოებს შეუდგა, შემდეგ ისტორიულებს, ბოლოს ნიცშე და ფროიდი მოითხოვა, ორჰან ფამუქის რომანებსაც გაუგო გემო და სიცილით ამბობდა, აქედან პროფესორი გავალო. ყიფოს წიგნებით გატაცებას თავიდან ბევრი ირონიით უყურებდა, მაგრამ მალე მის საკანში ყველაზე დიდი ბიბლიოთეკა გაჩნდა. დიტომაც ხმამაღლა გამოაცხადა, აგერ ნახავთ, აქედან რომ გავალ, რომელიმე ევროპულ უნივერსიტეტში ჩავაბარებო...

ერთ დღეს ზონა აფუსფუსდა. მე-17 დაწესებულების დირექტორმა ლაშა ბრეგვაძემ მაყურებლებს უთხრა, კარცერში სიგარეტისა და ჩაის ჩატანაზე არც იოცნებოთ, მორჩა თქვენი გულაობაო. სიგარეტისა და ჩაის გარეშე კარცერში დარჩენა იმას ნიშნავდა, რომ ზონა გაწითლებული იყო. წითელ ზონაში კი, მაყურებლებს კარგი დღე არ დაადგებოდა. მაყურებლებმა ძველი პატიმრები მოიკითხეს და მათაც თქვეს, მძივები უნდა გავაკეთოთო.

„20 კოლოფი ჩაი სამ ლიტრ წყალში უნდა წამოვადუღოთ, გადავწუროთ და მანამ ვადუღოთ, სანამ სქელი, პლასტილინივით მასა არ დარჩება. ამ მასისგან მძივები უნდა გავაკეთოთ. თითო მარცვალი ნახევარ ლიტრ ჩაის გააკეთებს. მძივს ვინმე ჩამოიკიდებს, შინაგანაწესს დაარღვევს, კარცერში ჩავა და ჩაი გაჩნდება. რაც შეეხება სიგარეტს. თუთუნი უნდა დავპრესოთ. პრესის პატარა ბურთულები გავაკეთოთ. შემდეგ რეზინის ქოშები გავჭრათ, შიგნიდან გამოვაცარიელოთ და ეს ბურთულები ჩავდოთ. ვინც მძივს ჩაიტანს, ქოშებიც მას ეცმევა. ერთი კაცის ჩასვლა 20 კოლოფი ჩაის და 20 კოლოფი სიგარეტის ჩატანას ნიშნავს“, — თქვა პატიმარმა, რომელსაც მხოლოდ რუსეთის ციხეებში 24 წელი ჰქონდა გატარებული.

ყველაფერი მალე დაამზადეს, მაგრამ საქმე ის იყო, ვინ ჩაიტანდა ამ ყველაფერს კარცერში. ყიფომ მძივი მაშინვე ხელში შეათამაშა, გულზე ჩამოიკიდა, ქოშებში ფეხი გაუყარა და მაყურებლებს თვალი ჩაუკრა — კარცერში პირველად ჩავდივარ და ათ დღეზე მეტი არ უნდა მომცენო. ჩაით და სიგარეტით „შეიარაღებულმა“ ყიფომ დაცვის ოფიცერს მიაკითხა, ჯერ საათი ჰკითხა, მერე კი წინ დაუფურთხა და გაიარა. ოფიცერი შეცბა, ამას არ ელოდა და დიტოს გასძახა - შენ კარცერი ხომ არ მოგენატრა?!

„არ ვარ ნამყოფი და სიკეთე ჰქენი, წამიყვანე, მანახე“, — გაულიმა ყიფომ.

ოფიცერმა რაცია ამოიღო და რეჟიმს დაუძახა, პატიმარი კარცერშია ჩასაყვანიო.

„არ გრცხვენია, უფროსო, პატარა ბიჭს საკარცერედ მიმეტებ, თან ნახე, რა ფორმაში ვარ, ამ ქოშებს მაინც გამოვიცვლი“, — გაჯიუტდა ყიფო, მაგრამ მაშინვე კარცერის გზას გაუყენეს.

კმაყოფილმა მაყურებლებმა ერთმანეთს გადახედეს და... „ოფიცერო, არ გრცხვენია, ერთი გადაფურთხებისთვის ყიფო კარცერში გაუშვი, ახლა ათ დღეს მისცემენ, არადა ხომ იცი, წიგნებს კითხულობს და კარცერში წიგნს არავინ ჩაგვატანინებს. იქნებ ათი დღე მაინც არ მისცენ“, — სთხოვა ერთ-ერთმა.

ყველასთვის მოულოდნელად, დიტო კარცერიდან მართლა მესამე დღეს გამოუშვეს. ყიფო მაშინვე მაყურებლების კამერაში შევიდა, მხიარულად მიესალმა და სანამ ვინმე რამის თქმას მოასწრებდა, მეორე მძივი გადაიცვა თავზე, რეზინის ქოშებში გაუყარა ფეხი და კამერიდან გავარდა. მაყურებლები მაშინვე გაჰყვნენ, მაგრამ ყიფო უკვე იგივე ოფიცრის წინ იდგა და... ისევ წინ დაუფურთხა. კარცერიდან ყიფო მხოლოდ 20 დღის შემდეგ ამოვიდა.

„ყიფო, შენ შენი გასაკეთებელი უკვე გააკეთე, მესამე კარცერი კრიტში წასვლას ნიშნავს, ამიტომ დამშვიდდი და წიგნებს მიხედე“, — უთხრეს მაყურებლებმა და დიტოც ისევ წიგნებზე გადაერთო...

ერთ დილით პატიმარი №0578 დიტო ყიფიანის საკანში შევიდა. როგორც წესი, ამ დროს ყველა გარეთ სეირნობდა და დილის ჰაერს სუნთქავდა. საკანში არავინ იყო და შესულმა დაინახა, რომ ყიფო ცრემლებს იწმენდდა.

„მოხდა რამე?“ — ჰკითხა დიტოს.

„რაღა რამე, ერთ კვირაში გავდივარ ამის დედაც ვატირე“, — თითქმის ტირილით თქვა დიტომ.

„მერე არ გიხარია?“

„როგორ არ მიხარია, მაგრამ... ყოველდღე რომ გამეღვიძება და მეცოდინება რომ ჩემი ძმაკაცები აქ, ამ ჯოჯოხეთში არიან, მე კიდევ გარეთ, ვერაზე... ყველაფერი მექნება და ვერაფერს შევირგებ აქაურობაზე ფიქრით. გესმის შენ?! არ მინდა მარტო გარეთ, ყველა გაგვიშვან“, — ბავშვური გულუბრყვილობით ლაპარაკობდა დიტო. რა თქმა უნდა, ერთ კვირაში დაუძახეს... მარტო გავიდა, თვალცრემლიანი, გასვლისას კი ჯვარი გადასახა პატიმრებს...

მალე ზონაზე შეიტყვეს, დიტომ გამოცდები ჩააბარა და სწავლას ნიცაში აპირებსო. ყველას გაუხარდა. გაახსენდათ, გასვლამდე რომ ამბობდა, აგერ ნახავთ, თუ ევროპაში არ ვისწავლოო... სექტემბერში საფრანგეთში მიფრინავდა და ბილეთიც დაჯავშნილი ჰქონდა, მაგრამ...

2 აგვისტოს, 23 წლის დიმიტრი ყიფიანი თბილისში ტრაგიკულად დაიღუპა...

შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში მოქალაქეებმა ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ჩააბარეს

შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, რეგიონში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და პრევენციული ღონისძიებების შედეგად, მოქალაქეებს წარმოადგენინეს და ნებაყოფლობით ჩააბარებინეს: ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი, სხვადასხვა კალიბრის 7682 საბრძოლო ვაზნა, სხვადასხვა ტიპის 114 ხელყუმბარა, 10 ცალი გადაჭრილი თოფი, 3 პისტოლეტი და სხვადასხვა სახის საბრძოლო მასალა.

სულ ჩაბარებულია: „კალაშნიკოვის“ სისტემის 2 ცალი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 10 ცალი გადაჭრილი თოფი, 2 ცალი სანადირო თოფი, 3 პისტოლეტი, კუსტარული წესით დამზადებული 4 ცალი მცირეკალიბრიანი ცეცხლსასროლი იარაღი, 1 ცალი მსხვილკალიბრიანი შაშხანა, კუსტარული წესით დამზადებული 1 პისტოლეტი, 2 ნაღმმტყორცნი ჭურვებით, 3 კილოგრამამდე ტროტილი, „ერ-გე-დე“-ს და „ეფ-1“-ის ტიპის 114 ხელყუმბარა, სხვადასხვა ტიპის 3 ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარა, 3 ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი, მსხვილკალიბრიანი საზენიტო იარაღის 23 ვაზნა, 3 სასიგნალო ვაზნა, 12 ცალი საბრძოლო ჭურვის თავი, სხვადასხვა ტიპის 323 ცალი ამფეთქი ფალია, 5 საკვამლე კოჭა, 6 მჭიდი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი სხვადასხვა კალიბრის 7682 საბრძოლო ვაზნა. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო

შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს ქობულეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, 1989 წელს დაბადებული ავთანდილ ც. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცავებმა ქობულეთში, დაკავებულის დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას „ა-კა-ემ“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 1 მჭიდით და 35 ცალი საბრძოლო ვაზნით ამოიღეს. ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

გენერალ-ლეიტენანტი ჯოზეფ ანდერსონი ქართველ სამხედროებს შეხვდა

ყანდაღარის საავიაციო ბაზას ISAF-ის გაერთიანებული სარდლობის მეთაური (IJC Commander) გენერალ-ლეიტენანტი ჯოზეფ ანდერსონი ეწვია. ამერიკელმა გენერალმა საქართველოს შეიარაღებული ძალების სამთო-სადაზვერვო ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეები სადილზე მიიწვია და ISAF-ის მისიაში შეტანილი წვლილისთვის ქართველ ჯარისკაცებს მადლობა პირადად გადაუხადა.

სადილის დასრულების შემდეგ, მან ხუთ ქართველ სამხედრო მოსამსახურეს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

ამერიკელ გენერალთან ერთად, ყანდაღარის საავიაციო ბაზაზე დისლოცირებულ ქართულ ქვედანაყოფს „რეგიონული სარდლობა სამხრეთის“ მეთაური, გენერალ-მაიორი მაიკლ ბილსიც შეხვდა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების სამთო-სადაზვერვო ბატალიონი ავღანეთში ISAF-ის მისიის დასრულების ფაზაზე იმყოფება. ბატალიონზე დაკისრებულ მოვალეობებში უსაფრთხოების უზრუნველყოფის სრული სპექტრის ამოცანების შესრულება შედის. სამთო-სადაზვერვო ბატალიონი რამდენიმე კვირაში სამშობლოში დაბრუნდება.

„პირველი“

მარტოობის ოთხასი წელი ანუ ქართული სისხლის ყივილი ფერეიდანში

ნათია ნოდია

ბედის განგებით, ფერეიდნელ ქართველზე გავთხოვდი. ქორწინებიდან ერთ თვეში ირანში გადავწყვიტეთ მოგზაურობა. თვითმფრინავით მგზავრობა თბილისიდან თეირანამდე საათი და ოც წუთია. ვღელავდი, მინდოდა, მალე მენახა ჩემი მეუღლის „მეორე სამშობლო“ — ეს ეპითეტი ლევანს სულაც არ ხიბლავს, რადგან ისიც, როგორც სხვა ფერეიდნელი ქართველები, ირანს სამშობლოდ არ მიიჩნევს. სანამ ირანის დედაქალაქში დავეშვებოდით, ქალებმა თავსაფრები დაიხურეს, ბორტგამცილებელმაც კი.

აეროპორტში ხალხმრავლობის მიუხედავად სიჩუმეა. ყველა თავის საქმეს აკეთებს ჩუმად, უხმაუროდ. უმრავლესობა ტანმორჩილია. მასაში ალაგ-ალაგ გამოჩნდებიან ხოლმე კოჭებამდე შავი კაბით მოსილი და მკაცრად თავდაბურული ქალბატონები. თავსაბურავი ყველასთვის სავალდებულოა — თავდაუბურავს როზგი და განმეორებით შემთხვევაში, პატიმრობა ელის. „ეს მთავრობის მომხრეებია“, — ლევანი „მკაცრად“ ჩაცმულებზე მიმითითებს.

თავსაფარი და შარვლის ზემოდან მუხლამდე ზედატანი მოლებს შემოუღიათ სავალდებულოდ, არადა, სულ რაღაც ოცდაათი წლის წინ, როცა შაჰი იყო მმართველი, ჩაცმაზე ე.წ. შეზღუდვები არ იყო.

აეროპორტში, განსხვავებულ სამყაროზე ფიქრს ავყევი. ცოტა ხანში ლევანის „ბიძა“ მოვიდა მანქანით (აქ პატივისცემის ნიშნად, უფროსი ასაკის მამაკაცებს ქართველები ასე მიმართავენ). სინამდვილეში, მეუღლის მეგობრის მამამ მოგვაკითხა, თეირანში გვიმასპინძლებს, შემდეგ კი, ფერეიდუნ-შაჰრის ერთ-ერთ „შაჰრში“ ანუ ქალაქში, კერძოდ, მარტყოფში გაგვისტუმრებს. ბილეთები აღებული დაგვახვედრა. მანქანაში ჩაჯდომამდე უკანა მინაზე ქართული წარწერა შევნიშნე: „ღმერთს ებარებოდეთ“.

მასპინძელი გუგუნაშვილი, იქაურად გუგუჩანია. სახელიც ქართული აქვს. გზად თეირანის დათვალიერება მინდოდა, მაგრამ... სულ ხრიოკი მინდორი ჩანს. აეროპორტიდან გასასვლელ გზაზე მივდივართ, ჯერ არ შევსულვართ ქალაქშიო, — ამბობს ბიძა. მანქანების ზღვა არ წყდება. თეირანში 20 მილიონი მოსახლეა. გამზირზეც უამრავი ადამიანია. მათი სიარულის სწრაფი და ლამაზი მანერა ყურადღებას იპყრობს. ქალებს გრძელი კაბა ან შარვალი ზედატანით, ანუ მანტოთი აცვიათ, მაგრამ მაინც ძალიან მოხდენილად დადიან. შეიძლება ითქვას, დანარნარებენ... ალბათ იმიტომ, რომ ადრეული ასაკიდან სწავლობენ ცეკვას, — გავიფიქრე. მოგვიანებით ერთ-ერთმა ფერეიდნელმა ქართველმა მითხრა, ქორწილში ქალები აუცილებლად ცეკვავენ, ასაკის მიუხედავად და პატარებიც ადრეული წლებიდან უყურებენ, სწავლობენ მოძრაობებს. ნეფე-დედოფალმა აუცილებლად უნდა „იშუშპროს“ (იცეკვოს). ქორწილში კი ქალები და კაცები ცალკ-ცალკე სხდებიან სუფრასთან, თუმცა ქორწილი რა მოსატანია, ავტობუსშიც ასე იქცევიან — ქალები ერთ განყოფილებაში არიან, კაცები მეორეში. ეს ისლამისგან მიღებული ვალდებულებაა. როგორც ამბობენ, რწმენის საკითხს მთავრობა მკაცრად აკონტროლებს, თუმცა არც უამისოდ იქნებოდნენ თავმინებებულნი — ზოგიერთს ფანატიკურად სჯერა მოციქულ მუჰამედისგან რჯულად დადებულის.

როგორც ყველგან, ქართველები აქაც ნიჰილიზმით გამოირჩევიან. მიუხედავად აკრძალვისა, ჩუმად წურავენ და მერე ერთმანეთს ასინჯებენ ისლამისგან აკრძალულ სასმელს — ღვინოს. ზოგიერთი სამსახურში თანამშრომლების დასანახად ასრულებს ნამაზს, ანუ ლოცვას.

ლირიკული გადახვევის მერე, თეირანელი ქართველის მასპინძლობას აღვნიშნავ, უზომოდ გახარებულია და მზრუნველი. აზიური სტუმართმოყვარეობა ხომ მსოფლიოშია ცნობილი. ლიფტით ავდივართ, ჰარმონიული მუსიკის ხმა მესმის. მობილურია? — ვკითხულობ. არა, ლიფტის ხმაა, — მპასუხობენ. ზღურბლთან ვტოვებთ ფეხსაცმელს და ოჯახში შევდივართ. ყველანი წამოიშლებიან. აქ, აეროპორტში ნანახ ხალხთან შედარებით უფრო მაღალი და განსხვავებული ადამიანები დამხვდნენ. ჩვენებურები არიან, ნამდვილი გურჯები: ბიძის ორი ქალიშვილი, (ვაჟი თბილისშია, დროდადრო ესტუმრება ხოლმე სამშობლოს), მასპინძლის დედა, მეუღლე და ჩემი მეუღლის თეირანელი ბიძაშვილი მეუღლით და პატარა თინათი. ლევანის ბიძაშვილი თვალებიანად მიღიმის. მივხვდი, მოვეწონე. მეც საპასუხოდ გავუცინე. სუფრას აწყობენ უკვე — ხალიჩაზე შლიან ფარდაგს, ზედ ვახშამია: ბრინჯი და ქაბაბი. ფესტა, ნუში, თხილი, მაწონი, ყველი, დო და აღმოსავლური ტკბილეული, რასაც თითქოს ხალვის გემო აქვს, თუმცა მაინც განსხვავდება. აქ მეტად პოპულარული სასუსნავია ნუგა. ხარისხი „ფესტის“ პროცენტით განისაზღვრება, ამიტომ, ირანში თუ მოხვდებით, ყურადღება მიაქციეთ ამ პატარა წვრილმანს ანუ ფესტის შემცველობას ნუგაში.

„ჩიქილის“ (თავსაფარი) გამო დისკომფორტს ვგრძნობ. ლევანი მეუბნება, თუ გინდა მოიხადეო. რადგან ყველას დაუბურავს, ვჭოჭმანობ. მასპინძელი ხვდება, რაშია საქმე და გოგონებს სთხოვს, თავსაბურავი მოიხადონ. ისინიც „თავისუფლდებიან“. ლევანის ბიძაშვილს მეუღლე გვერდში ჰყავს. ისიც, როგორც ზოგადად ირანელი გათხოვილი ქალები, წესებისმიმდევარი ჩანს, თუმცა ქმარი სადილობის დროს თავსაფარს ხდის და საკუთარ ონავრობაზე გულიანად იცინის. სადილის დასრულებისთანავე კრეფენ ჭურჭელს, იქაური წესია. მშობლებთან ვრეკავ. ვეუბნები, რომ აქ უმრავლესობა პატარა ტანის და შავტუხაა, ოღონდ... ქართველების გარდა. მათ მასპინძლობაზეც ვუყვები. ბიძამ ლევანს უთხრა, ღმერთს ჰყვარებიხარ, რაკი ასეთი კარგი ქალი შეგირთავსო და თავადაც ნატრობს იქაურ გურჯს სარძლოდ. რა თქმა უნდა, ნასიამოვნები ვარ ქათინაურითაც, მაგრამ მაინც ფერეიდანში წასვლის წუთებს ვითვლი, იქ ლევანის დედა და და-ძმები მელიან. რამდენიმე საათში მასპინძელს ავტოსადგურამდე მივყავართ. მეტად მოწესრიგებული ადგილია. კომფორტული ავტობუსი. სანამ ლევანი წამომეწეოდა, იქაურები ხარბად მიჭვრეტდნენ, თითქოს თვალებში ეწერათ, აქ რამ მოგიყვანაო. აქაურებს ყურადღება არ მიაქციო, რომ მოგესალმონ, უპასუხოდ დატოვეო, — მარიგებს ლევანი.

თეირანიდან ფერეიდნამდე გზა შვიდი საათია, ცოტა ხანში მძღოლი საგზალს გვირიგებს — ორცხობილა, შოკოლადი და ლიმონათი... ავტობუსში ბევრს ეცოდინება ქართული, — მაფრთხილებს ლევანი. ცუდის თქმას ნამდვილად არ ვაპირებ, პირიქით. იერზე მართლაც ვატყობ ზოგს, რომ ქართველია და მიხარია. „ჰო, მომსახურება და მენეჯმენტი აქ უკეთესია, ვიცი“, — მასწრებს ლევანი და იცინის. რატომღაც არ უყვარს ქართველებზე უკეთესი აღმოჩნდეს ვინმე და ამ მომენტშიც „თვითაღიარებას“ ირჩევს. ისევ უდაბური, ხრიოკი მიწა და მახსენდება მე-9 კლასში ისტორიის მასწავლებლისგან მოსმენილი: „1616 წელს, შაჰ აბასმა კახეთის მოსახლეობის ნაწილი აყარა ამ მადლიანი მიწიდან და ფეხით გაუყენა გზას ტრამალებისკენ, ბევრი გზამ შეიწირა“. ჰოდა, ღვთის განგებით, მეც ამ გზას შევუდექი, ოღონდ მრავალი წლის შემდეგ და, რა თქმა უნდა, საკუთარი სურვილით. მხოლოდ ერთ ადგილზე გამოჩნდება რაღაც ოაზისისმაგვარი, განათებული, ოქროსფრად მბრწყინავი სკვერებით და დიდებული მეჩეთებით, მოლების ქალაქი — ყომი. შემდეგ ისევ ერთფეროვნება... ფერეიდნამდე თურქებით დასახლებულ ქალაქს, დარანს გავივლით, მეუღლე მიამბობს, რომ გადმოსახლებიდან ცოტა ხანში გურჯებს ისეთი ძალა ჰქონიათ, ხარკს კრეფდნენ, თურმე მეზობელი ქალაქ-სოფლებიდან, თურქებით და ქურთებით დასახლებული ადგილებიდან. ეს იყო შაჰ აბას მეორის დროიდან, ვიდრე ქერიმ ხანამდე. სწორედ, საკუთარი პროვინციების დასაცავად ჩაუსახლებია შაჰ აბას პირველს გურჯები ფერეიდანში. იყო დრო, თუ გურჯი ქუჩაზე გაივლიდა, სხვა ტომები, თარაქამა-თურქები, ქურთები და ა.შ. მეორე მხარეს გადადიოდნენ. სიმამაცით განთქმულ ავღანებს უთქვამთ: ჩვენ დედაკაცები ვართ გურჯებთან, ხოლო სპარსები დედაკაცნი არიან ჩვენთან შედარებითო. დარანიდან ფერეიდნამდე დიდი გზა აღარ არის, მაგრამ იწელება დრო.

ვუახლოვდებით გურჯების სამყოფელს. ფერეიდანში მცხოვრებთა 95% ქართველია. ძირითადად, ორ-სამსართულიანი შენობებია, ბევრი მაღაზია ანუ იქაურად, რომ ვთქვათ — დუქანია. მარტყოფში ჩამოვდივარ. ღამის სამი საათია, დაღლილები ვართ, ტაქსით ვამჯობინებთ მისვლას. მძღოლი ქართულად ლაპარაკობს, უხარია, გურჯისტანიდან ჩამოსული მგზავრები რომ ჰყავს. ჩასვლისას ფულს ძალით ვჩრით და უამრავ მადლობას გვეუბნება. ნაცნობი იყო? — ვეკითხები ლევანს. შორეული, ყვავი ჩხიკვის მამიდაო, რომ იტყვიან. ისე, მარტყოფი პატარა ქალაქია, სულ ოცი ათასი ადამიანი ცხოვრობს და ყველა იცნობს ერთმანეთს. დედას უთქვამს, ზარი დარეკეთ და გაგიღებთ, გელოდებითო, — მეუბნება. ეძინებათ-მეთქი. არა, დედა არ დაიძინებდაო. კარი ზარის დარეკვისთანავე იღება. კიბეზე ჩავდივარ და ვღელავ, არ ვიცი, როგორი შეხვედრა იქნება. დედამთილი საკმაოდ მაღალი ქალია, თეთრი პირისახის, ცოცხალი თვალები აქვს. კარგად მიმიღო. იქვე ლევანის და დგას, მიცინის და ისიც მკოცნის. სახლში თბილა, გამათბობელი ღამითაც ჩართული აქვთ. გაზი, დენი იაფია და იმიტომ... სულ გამიქრა დაძინების სურვილი, მინდა, უკეთ გავიცნო დედამთილი და მული. სუფრასთან გვეპატიჟებიან. მაგიდაზე აწყვია: კარაქი, ყველი, კვერცხი, ნამცხვარი, ათასნაირი სასუსნავი და სასმელი, რასაკვირველია, უალკოჰოლო. დედამთილი ბევრს არ საუბრობს, მხოლოდ მიღიმის. იმავე კორპუსში ჩემი მეუღლის ბინაა, ზედა სართულზე მაზლი ცხოვრობს. ამ ზაფხულს შეირთო ცოლი, იქაური ქართველი. მიკვირს, ვანო არ დაგველოდა, — ამბობს ლევანი. დაიღალა, დედა, რესტორანში ბევრი საქმე აქვს, — უხსნის ჩემი თავლჟუჟუნა დედამთილი. კარგი ქალია, — გავიფიქრე.

მეორე დილას თბილისის დროით „ადრე“ ვდგები — ათის ნახევარზე. არადა, ფერეიდანში, თურმე, 8 საათზე საუზმობენ. ისე, დროში სხვაობა ნახევარი საათია მხოლოდ. დედამთილთან მივდივარ სახლში და მაზლი მხვდება, მიცინის. არ ვიცი, გადავკოცნო თუ არა, მაგრამ ისეთი ახლობლური გარეგნობა აქვს, იქაურ ადათებს ვივიწყებ და „ქართულად“ გადავკოცნი. მის მეუღლეს ეცინება. სასადილო ოთახში დედამთილს და ჰყავს სტუმრად, ჩვენ სანახავად მოსულა. სიზმარს უყვება, შენ მოგყვა ეს ჩემი რძალი, ვინ არის-მეთქი გკითხე და მალე გაიცნობო, მითხარი. ორივენი იცინიან. მე, ყორო? (გოგო), იოცებს დეიდა და ისიც გულიანად იცინის. დასტურ, ასეთი იყო, როგორიც ვნახე, ამბობს ჩემზე. ახლა, დეიდას გასაცნობად მივდივარ. ნელ-ნელა სტუმრებით ივსება სახლი. რამდენჯერაც ჩვენ სახლში გასვლა დავაპირეთ, სტუმარი შემოგვეგება. იმ დღესვე გავიცანი ჩემი მულების და მაზლების უმრავლესობა (ზოგი სამხრეთ ირანში იყო წასული სამოგზაუროდ და ცოტა მოგვიანებით ვნახე). სადილზე მულებმა იქაური კერძები მოამზადეს და ხალიჩაზე გაშალეს სუფრა. ისევ ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდი. მიირთვი, მიირთვი, — მაძალებდნენ სხვადასხვა მხრიდან. „ახლა, იგრე სძულს, რომ აძალებთ...“, — ამბობს ლევანის დისშვილი. მეცინება, არა-მეთქი ვპასუხობ. უი, გაიგო, მეგონა, ძველებურ ქართულს ვერ გაიგებდაო, — უხარია. ვიცინით. იმ დღეს ლამის მთელი სანათესაო გავიცანი. ყონაღები ანუ სტუმრები გვყავდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სუდოკუ

ადვილი

		3			1			4
			9			2	8	
	9		8	4			1	
				2		1		
8				1				6
		6		9				
	4			8	2		5	
	7	9			5			
2			1			6		

სტანდარტი

			9				8	
2		1	7			6		
8	6			3				7
		6			4		3	
3				7				1
	8		2			7		
9				4			1	6
		4			2	5		9
	7				9			

რთული

		6					2	9
			2		7			
2	1				6			5
3	2			8		9		
	9		7		4		6	
		5		2			1	8
9			4				3	6
			9		2			
4	3					5		

ექსპერტი

	2					5		
		9			5	8		4
				7			2	6
	3							8
4			6		8			3
7							9	
3	7			8				
9		4	5			3		
		2					4	

დეპრესიას წიგნები კურნავს

აღმოჩნდა, რომ წიგნის კითხვა გაცილებით ეფექტურია, ვიდრე პრეპარატების მიღება. ბრიტანელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ფსიქოლოგიური წიგნები დეპრესიის თვითდაძლევაზე ამ სენს გაცილებით ეფექტურად შველის, ვიდრე ანტიდეპრესანტების მიღება. გლაზგოელი სპეციალისტების გამოკვლევაში 200 მოხალისე მონაწილეობდა. მათ ნაწილს სამკურნალო აბებს აძლევდნენ, ნაწილს კი წიგნებს სთავაზობდნენ, რომელიც პაციენტს ფსიქოლოგიური პრობლემის თავად გამკლავებას ასწავლის. ექსპერიმენტის შედეგად აღმოჩნდა, რომ „მკითხველთა“ ჯგუფს მკურნალობის უკეთესი დინამიკა ჰქონდა, ვიდრე ანტიდეპრესანტენზე „შემჯდარ“ მოხალისეებს. ლიტერატურა, რომელსაც ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე ადამიანებს სთავაზობენ, საუბრის მეთოდით მკურნალობის პრინციპებს შიცავს. ექსპერტები დარწმუნებულნი არიან, რომ ადამიანს შეუძლია საკუთარი აზროვნება წიგნების მეშვეობით შეცვალოს. თუმცა, მაინც აღიარებენ, რომ საუკეთესო ეფექტი კომპლექსური მკურნალობით მიიღწევა.

ყავა და სიგარეტი პარკინსონიზმისგან იცავს

ამერიკელი მეცნიერების მონაცემებით, პარკინსონით დაავადებული ადამიანები ნაკლებად არიან მწეველები და ყავის გაცილებით ნაკლებ რაოდენობას მოიხმარენ, ვიდრე ჯანმრთელი ადამიანები. მკვლევართა აზრით, ყავასა და ნიკოტინს მართლაც შეუძლია, დაიცვას ტვინი ნეიროდეგენერაციული დაავადებებისგან. მოწევის კავშირი პარკინსონიზმის განვითარების დაბალ რისკთან დიდი ხანია ცნობილია მეცნიერებისთვის. ამავე დროს ბევრი ექსპერტი ამ დაავადებას გენეტიკურად მიიჩნევს, თუმცა, სიგარეტისადმი მიდრეკილების უქონლობა პარკინსონით დაავადებულებში შეიძლება ასევე გენეტიკურად იყოს განპირობებული. ამ ჰიპოთეზის შემოწმება მაიამის უნივერსიტეტის მკვლევარებმა გადაწყვიტეს. გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღო პარკინსონით დაავადებულმა 356-მა ადამიანმა და 317-მა ასაკოვანმა მოხალისემ, რომელთა ახლო ნათესავებსაც ამ დაავადების პირველი ნიშნები გაუჩნდათ. გამოკვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ პარკინსონიზმით დაავადებულებში მწეველი 40%-ით ნაკლები იყო, ვიდრე ჯანმრთელ მოხალისეებში. გამოკვლევების მონაწილეები ყავის მოყვარულებიც აღმოჩნდნენ. როგორც კვლევების ავტორები აღნიშნავენ, მიზეზები, რომლის გამოც ყავისა და სიგარეტის მოხმარება პარკინსონიზმის განვითარების რისკს ამცირებს, ჯერჯერობით უცნობია. ამავე დროს, ეს კანონზომიერება შეიძლება დოფამინურ ცვლას უკავშირდებოდეს. ცნობილია, რომ პარკინსონიზმს ნეირონების მასობრივი სიკვდილი იწვევს, რომლებიც სწორედ ამ ნეირომედიატორს გამოიმუშავებენ. ყავასა და ნიკოტინს კი შეუძლიათ თავის ტვინში მისი დონე აწიოს. გარდა ამისა, ზოგიერთი გამოკვლევის მონაცემები ადასტურებს, რომ ნიკოტინს შეუძლია ნეიროტოქსინების ბლოკირება შეუძლია, რომელიც დოფამინის გამომმუშავებელ ნერვულ უჯრედებს ანადგურებს.

განქორწინებას უნიფაზზე აფორმებენ

ამომავალი მზის ქვეყანაში, განქორწინების ყველა მსურველს, ერთ-ერთი ტაძარი მეტად უჩვეულო ცერემონიას სთავაზობს. მისი არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ თუ ოჯახი არ აეწყო, მაშინ სავსებით შესაძლებელია მისი უნიტაზში „ჩარეცხვა“. თავად ცერემონია რამდენიმე ეტაპისგან შედგება. დასაწყისში ცოლსა და ქმარს სთავაზობენ, ქაღალდზე დაწერონ, რამ გააღიზიანა ყველაზე მეტად ოჯახურ ცხოვრებაში და რატომ გადაწყვიტეს განქორწინება. შემდეგ ცუდი კარმისგან უნდა გათავისუფლდნენ — დაწერილი „დოკუმენტი“ სტუმრების თვალწინ უნდა დახიონ და კანალიზაციას გაატანონ. სხვათა შორის, ცერემონიაზე დამსწრეთა მიწვევა ნებისმიერი რაოდენობით შეიძლება. „უნიტაზური გაყრის“ მესამე ეტაპი კი ოჯახური ურთიერთობების გაწყვეტის მიზეზების „საზეიმოდ“ გახმოვანებაა. უნდა აღინიშნოს, რომ „შორეულ ნაოსნობაში“, ქარალდის გარდა, შეიძლება საქორწინო ბეჭდები, ოჯახური ფოტოები და სხვა ნივთებიც ჩაუშვათ. აქ ყველაფერი უკვე მეუღლეთა განაწყენების ხარისხსა და ფანტაზიაზეა დამოკიდებული.

წინა ნომერში გასუდლი სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

5	1	4	2	8	9	7	6	3
9	3	2	7	1	6	4	5	8
8	7	6	5	4	3	2	1	9
4	8	3	1	9	7	5	2	6
6	2	9	8	5	4	3	7	1
1	5	7	6	3	2	9	8	4
3	6	5	9	7	8	1	4	2
2	4	1	3	6	5	8	9	7
7	9	8	4	2	1	6	3	5

სტანდარტი

6	3	2	1	9	8	7	5	4
7	5	4	6	3	2	1	9	8
1	9	8	7	5	4	3	6	2
5	6	3	4	8	1	2	7	9
4	2	1	9	7	6	8	3	5
9	8	7	5	2	3	6	4	1
3	4	9	2	1	7	5	8	6
2	7	6	8	4	5	9	1	3
8	1	5	3	6	9	4	2	7

ადვილი

7	1	6	9	5	8	4	3	2
5	4	3	1	2	7	9	8	6
2	9	8	4	6	3	5	7	1
4	8	2	7	1	5	6	9	3
6	3	7	2	4	9	1	5	8
9	5	1	3	8	6	2	4	7
1	2	9	8	7	4	3	6	5
3	7	5	6	9	2	8	1	4
8	6	4	5	3	1	7	2	9

სტანდარტი

6	5	4	3	8	2	1	9	7
1	9	8	7	6	4	5	3	2
3	2	7	5	1	9	8	6	4
9	1	6	4	3	5	7	2	8
8	7	2	1	9	6	4	5	3
4	3	5	8	2	7	9	1	6
2	4	1	9	7	3	6	8	5
7	8	3	6	5	1	2	4	9
5	6	9	2	4	8	3	7	1

რთული

1	8	7	6	5	4	9	3	2
6	4	3	9	2	1	5	8	7
5	9	2	8	3	7	1	6	4
8	2	1	7	6	3	4	5	9
4	3	5	2	8	9	7	1	6
9	7	6	4	1	5	3	2	8
7	1	8	5	9	6	2	4	3
3	6	4	1	7	2	8	9	5
2	5	9	3	4	8	6	7	1

ექსპერტი

7	9	6	2	3	5	8	4	1
8	4	2	7	1	9	3	6	5
5	3	1	8	4	6	7	2	9
6	1	7	3	2	8	5	9	4
4	5	3	1	9	7	2	8	6
2	8	9	6	5	4	1	3	7
1	6	8	9	7	3	4	5	2
9	7	5	4	8	2	6	1	3
3	2	4	5	6	1	9	7	8

რთული

9	2	8	1	7	5	4	3	6
7	1	6	8	4	3	5	9	2
3	5	4	2	9	6	1	8	7
2	8	3	7	1	9	6	5	4
5	9	7	6	8	4	3	2	1
6	4	1	5	3	2	9	7	8
4	6	2	9	5	8	7	1	3
1	3	9	4	2	7	8	6	5
8	7	5	3	6	1	2	4	9

ექსპერტი

6	7	5	4	3	2	9	1	8
4	9	1	6	5	8	3	7	2
3	2	8	1	9	7	6	4	5
8	3	4	5	2	1	7	9	6
5	6	9	7	4	3	2	8	1
7	1	2	9	8	6	5	3	4
2	5	7	8	1	9	4	6	3
1	4	6	3	7	5	8	2	9
9	8	3	2	6	4	1	5	7

მე-10 გვერდი: 1. ფოსფორი; 2. ოქციდენტალი; 3. ფული; 4. რუტინა; 5. ბოსტონი; 6. ორლი; 7. ტერტერა; 8. ნენია; 9. ოცელოტი; 10. აგა; 11. ულისე; 12. გნუ; 13. ელერონი; 14. აუდიტი; 15. მისური; 16. კრაგი; 17. არაბი; 18. საათი; 19. ოდა; 20. ალაგე; 21. კამეა; 22. ირანი; 23. ძნა; 24. იარა; 25. ძიუდოგი; 26. ალური; 27. კანბერა; 28. ასანთი; 29. გოგენი; 30. ძირულა; 31. ლომე; 32. ოთხი; 33. დასტა; 34. ფსოუ; 35. აგულიასი; 36. ტორფი; 37. დაეი; 38. აბრა; 39. ოზმა; 40. ინია; 41. როდოპი; 42. სოლ; 43. აუტი; 44. სირია; 45. ბაზენი; 46. პიერ; 47. მოგადიშო; 48. კუ; 49. ამა; 50. სვე; 51. მოა; 52. დია; 53. ეგერი; 54. კირი; 55. რაე; 56. ეშერა; 57. ონი; 58. სირ; 59. კურო; 60. მირონი; 61. მუსკატი; 62. მაშარაბი; 63. ასო; 64. ონიქია; 65. ამება.

მე-12 გვერდი: 1. ლამპიონი; 2. ებონიტი; 3. ლუბუტენი; 4. მაზლი; 5. იუანი; 6. ბუცეფალი; 7. ნარცისი; 8. ტირე; 9. აბაზია; 10. ვლადივოსტოკი; 11. ნარი; 12. ცერერა; 13, ექსპოზიცია; 14. სმალტა; 15. ტვინი; 16. მაქს; 17. ლეი; 18. უმა; 19. ფოიე; 20. ნაურუ; 21. პოლ; 22. ლუის; 23. აყირო; 24. რანჩო; 25. ია; 26. „მინდია“; 27. „პარმა“; 28. აბო; 29. ზმა; 30. „რაპიდი“; 31. ატრია; 32. ალა პუგაჩოვა; 33. მაკაკი; 34. ჯერსი; 35. რევიუ; 36. ტრიკო; 37. ციცერო; 38. ცია; 39. კიანუ; 40. კარე; 41. ანკორიჯი; 42. როდოდენდრონი; 43. სან; 44. პიკადორი; 45. გულაბი; 46. ირონია; 47. ტაეპი; 48. როიალი; 49. ეკიუ; 50. ადლი; 51. საგა; 52. ტრიო; 53. იარუსი; 54. აგა; 55. იტალიკი; 56. ალი; 57. დარკი; 58. მადა; 59. ყორი; 60. ანკეტა; 61. კოელიო; 62. ანტალია; 63. ტერფი; 64. ლიანა; 65. ყალიმი; 66. ბუ; 67. იაილო; 68. ომარ; 69. ბმო; 70. დოლაბი; 71. იელი; 72. დღე; 73. ლა; 74. მის; 75. რეალია; 76. ლევ; 77. პოლკი; 78. ლატი; 79. დარიალი; 80. ნამი; 81. მი; 82. კალე; 83. ინარი; 84. ადიღე; 85. სომი; 86. იონი; 87. ლუკ.

1. სასაზღვრო დაცვის რაზმი
2. მთათა წარმოქმნის პროცესი
3. უნგრეთის სიდიდით მეორე ქალაქი
4. ციფრობრივი ნიშანი 0
5. აღმოსავლური ტკბილი სასმელი
6. ძლიერი მიწისძვრის მომდევნო სუსტი ბიძგი
7. ტკბილი კარტოფილი
8. ერეკლე II-ის საყვარელი ასული
9. ჭრგვალთავიანი დიდი ჯოხი
10. ძიუდოს ერთ-ერთი ილეთი
11. კუბური ცეკვა
12. ქალაქი სამხრეთ საფრანგეთში
13. მექანიკის ნაწილი
14. მეფის თანმხლები პირნი
15. სამხედრო არისტოკრატია ინდოეთში
16. მაცნე, მაუწყებელი ძველ ევროპაში
17. კაუჩუკის ხე
18. დაწვის შედეგად მიღებული ნარჩენი
19. მიწის ფართობის საზომი ერთეული
20. შაქართან ერთად ათქვეფილი ცილა
21. საჯდომი ნერვის ანთება
22. ყველაზე გრძელი მდინარე ჩილეში
23. დურგლის სახაზავი
24. კ. გამსახურდიას მდინარე
25. ხე სურნელოვანი თეთრი ყვავილებით
26. ფარმაც. კომპანია
27. ტრაპახა
28. ძაღლის ჯიში
29. ზევსის დედა
30. მომღერალი ... ალეგროვა
31. ავღანეთ. უხუცესთა საბჭო ...-ჯირგა
32. ალ. ტოლსტოის ფანტასტიკური რომანი
33. ნაპოლეონის მშობლიური ქალაქი
34. „ბეჭდების მბრძანებლის“ ავტორი
35. შავი ფისი
36. „მდოგვის გაზის“ მშობლიური ქალაქი
37. ბერძნული ანბანის ასო
38. უაზრო ლაპარაკი
39. რეფერორი ... ბესონი
40. აზია-ევროპის გამყოფი ქედი
41. ავადმყოფის ორგან. ხელით გასინჯვა
42. დიდი გარეული ფრინველი
43. მექსიკელთა ტრად. ალკოჰ. სასმ.
44. დედის ან მამის მამა
45. ასკორბინის მჟავა ანუ ვიტამინი ...
46. ციყვი ჩიპის მეწყვილე (მულტფ.)
47. ჰოლივუდის მსახიობი ... ბერიმორი
48. გერმანული ავტომარკა
49. იაპონ. მწერალი ქენძაბურო ...
50. შებოლილი ღორის ხორცი
51. მუსოლინის მეტსახელი
52. ფანტომასის როლის შემსრ.
53. მდ. ეთიოპიაში, იგივე ცისფერი ნილოსი
54. პატარა ელექტროორღანი საესტრადო ორკესტრების შემადგენლობაში
55. ცნობილი იაპონელი დიზაინერი
56. ჰოლივუდის ლეგენდა ვივიენ ...
57. თემურ ბაბლუანის ფილმი
58. წარსულში ცნობილი ლიბერიელი ფეხბურთ.
59. ქართული წარმართული ღვთაება
60. „აბბას“-ცნობილი სიმღერა „მამა ...“
61. ჯარი, ლაშქარი ძველ ქართულში
62. მოხეტიალე მსახ. ძველ გერმანიაში

ჩვილებისთვის სუნამო შეიქმნეს

ცნობილი იტალიური ბრენდი Dolce&Gabbana აპირებს, პარფიუმი ახლა პატარებისთვისაც გამოუშვას, ერთი ფლაკონი კი 45 დოლარი ეღირება. ჩვილებს ისედაც სასიამოვნო სურნელი ასდით, ამიტომ მათთვის სუნამოს შექმნის ამბავმა დიდი გაკვირვება გამოიწვია. თუმცა, ავტორები მიიჩნევენ, რომ ახალი არომატი უფრო გააძლიერებს ბავშვების სუნს და ბევრის გულს დაიპყრობს. სტეფანო გაბანას თქმით, პარფიუმი იმისთვის იქმნება, რომ „მოეფერონ და გაანებივრონ ყოველი პატარა ბიჭი და გოგო. ასე რომ, პატარებისთვის განკუთვნილი ოდეკოლონი ორივე სქესის ბავშვებისთვის გამოდგება. პარფიუმს ნესვის, თაფლისა და ციტრუსების არომატი აქვს. ახალი სუნამოს გამოსვლა უკვე გააკრიტიკეს ექსპერტებმა და მშობლებმაც. მათი განცხადებით, პატარების ბუნებრივი სურნელი მსოფლიოში საუკეთესოა, სუფთა და აღმაფრთოვანებელი, ამიტომაც არ სურთ, ის გლამურული არომატით გადაფარონ. არც პედიატრები ურჩევენ მშობლებს, ჩვილებისთვის სუნამო გამოიყენონ, რადგან ტუალეტის წყალი, შესაძლოა, შეიცავდეს მავნე ქიმიკატებსა და ტოქსინებს, რაც ბავშვებში სუნქთვის პრობლემებს გამოიწვევს

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

მილიონერი სუფთა ჰაერს ჰყიდის

შესაძლოა, ამ პროდუქტმა ვერ შეცვალოს ეკოლოგიური ვითარება პეკინში, მაგრამ გამვლელების ღიმილს აუცილებლად დაიმსახურებს. ექსცენტრულმა ჩინელმა მილიონერმა ჩენ გუანბიაომ რკინის ქილებით სუფთა ჰაერის გაყიდვა გადაწყვიტა. რამდენიმე დღის წინ ჰაერის დაბინძურებამ ჩინეთის დედაქალაქში კვლავ დაუშვებელ ნორმას მიაღწია — პეკინი სმოგშია გახვეული. როგორც მეწარმე ამბობს, მისი ჰაერი ქვეყნის პერიფერიულ რეგიონებშია მოგროვილი, სადაც კარგი ეკოლოგიური სიტუაციაა. ბიზნესმენმა მილიონები ნაგვის უტილიზაციით იშოვა და ქვეყნის მთავარ ქველმოქმედად მიიჩნევენ. მილიონერის თქმით, თუ ცოტა ხანში პეკინში მდგომარეობა არ შეიცვალა, სუფთა ჰაერის გაყიდვა არა მხოლოდ ეკოლოგიური აქცია, არამედ რეალობა გახდება. 10 წლის შემდეგ შეიძლება უკვე აირწინაღებით სიარული დაგვჭირდეს, — აცხადებს ბიზნესმენი. მისი სუფთა ჰაერის თითო ქილა 5 იუანი, დაახლოებით 80 ამერიკული ცენტი ღირს. გაყიდვიდან შემოსულ თანხას კი, ჩენი ტრადიციულად ქველმოქმედებას მოახმარს.

პირველი გამჭვირვალე სმარტფონი გამუშვეს

გამჭვირვალე ტელეფონის შექმნა ტაივანის ნაკლებადცნობილმა კომპანიამ Polytron Technologies შეძლო. გამჭვირვალე სმარტფონი შუშისგან არის დამზადებული გამჭვირვალე და დრეკადი ელექტრონული კომპონენტების გამოყენებით, აღჭურვილია სენსორული ინტერფეისით. კომპანიის განცხადებით, ახალი სმარტფონი ბარსელონას გამოფენაზე Mobile World Congress იქნება წარმოდგენილი. გამჭვირვალე ტელეფონის პროტოტიპის პრეზენტაციისას ფირმის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ მათი ქმნილება ხელმისაწვდომი უკვე წლეულსვე იქნება, თუმცა, ავტორები აღიარებენ, რომ ახალ სმარტფონს ჯერჯერობით ბევრი ნაკლი აქვს და მასზე მუშაობას გააგრძელებენ. მაგალითად, მომხმარებელს გამჭვირვალე ეკრანზე ტექსტის კითხვა გაუჭირდება. ასევე, გარშემომყოფებსაც შეუძლიათ დაინახონ, რა ტექსტს აკრეფს ტელეფონზე პატრონი, რაც, ცოტა არ იყოს, უხერხულია. ცნობილია, რომ კომპანიის ძირითადი ბიზნესი მაღალტექნოლოგიური გაჯეტები კი არა, დიზაინერული მინის წარმოებაა.



სუდოკუ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

	3			4		2		
		4	9				7	
	8					6		
4			6	5		7		
8			4		1			5
		2		9	7			1
		8					4	
	5				4	3		
		1		3			8	

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

	7					5	2	4
				4		3		
2				1	5		7	
8							3	
		5		3		6		
	2							7
	3		5	8				9
		6		2				
4	9	8					6	

ᲠᲗᲣᲚᲘ

					1			2
	6							4
	4		8			5	3	
		4			8	1		7
	7			5			9	
6		1	3			4		
	2	6			5		8	
7							1	
3			9					

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	4			5				
		7						8
2	1	9	8		3			
	3	6	2					7
5			6		8			9
9					7	6	3	
			9		6	8	7	3
8						1		
				8			4	

კარიესისგან ყველი უკეთ იცავს, ვიდრე კბილის პასტა

ყველს შეუძლია კარიესის წარმოქმნა აღკვეთოს და კბილის ნადების წარმოქმნა შეაფერხოს, რადგან ანეიტრალებს მჟავებს პირის ღრუში, — ნათქვამია ახალ გამოკვლევაში. სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ რძემჟავა პროდუქტი მჟავიანობას აქვეითებს, რაც თავის მხრივ ამცირებს სტომატოლოგთან ვიზიტის რაოდენობას. გარდა ამისა, მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ ყველი კბილების ირგვლივ ქმნის დამცავ ფენას — რაც უფრო მაღალია pH კბილების ზედაპირზე, მით უკეთაა დაცული კბილები კარიესისგან. გამოკვლევაში, რომელიც ამერიკელმა სწავლულებმა ჩაატარეს, 12-დან 15 წლამდე ასაკის 68 მოზარდი მონაწილეობდა. ისინი სამ ჯგუფად დაყვეს — ერთ მათგანს ყოველდღიურად ყველ „ჩედერს“ აჭმევდნენ, მეორეს — უშაქრო იოგურტს, მესამე ჯგუფის წევრებს კი ჭიქა რძეს ასმევდნენ. კვლევის დასრულებისას აღმოჩნდა, რომ იმ ბავშვებში, ვინც იოგურტს მიირთმევდა ან რძეს სვამდა, pH თანაბარ დონეზე რჩებოდა, საჭმლის მიღებამდე და მის შემდეგაც, ხოლო ვინც ყველს მიირთმევდა, აღენიშნებოდა pH-ის დონის ზრდა კბილის ემალის ყოველი შემდგომი გასინჯვისას. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ყველი პირის ღრუში ზრდის ნერწყვის რაოდენობას, რაც ხელს უწყობს ორგანიზმში pH-ის არსებობას; თანაც ყველში ქიმიური ნაერთებია, რომელსაც შეუძლია კბილზე დამცავი ფენა წარმოქმნას, რაც იცავს კბილის ემალს დამშლელი მჟავებისგან.

„ჭკვიანი აბი“ ექიმს ჩაანაცვლებს

77 დოლარად თვეში შესაძლოა პაციენტის ცხოვრების შეცვლა, საიდუმლო კი ახალი, ტექნოლოგიურად „ჭკვიანი“ აბებია, რომელიც უკარნახებს ავადმყოფს, სწორად როგორ მიიღოს წამალი და უახლოეს მომავალში ის გაყიდვაში დიდ ბრიტანეთში გამოჩნდება. აბი მიკროსკოპული ჩიპია, რომელიც პრეპარატის მიღების პროგრამის ყველა დეტალს იწერს მიმღები-პლასტირის მეშვეობით, რომელიც პაციენტის ხელზე ან მხარზეა დამაგრებული. საბოლოო ინფორმაცია გადაეცემა კომპიუტერს ან მობილურ ტელეფონს. აღსანიშნავია, რომ გამოგონება საკმაოდ აქტუალურია, რადგან, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, პაციენტთა დაახლოებით 50% სწორად არ იღებს ექიმის მიერ დანიშნულ პრეპარატებს. მწარმოებელი-კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, აბი თვალყურს ადევნებს, როდის მიიღოს ავადმყოფმა წამალი, რა დოზით უნდა მოხვდეს პრეპარატი ორგანიზმში, ასევე, როგორია პაციენტის გულისცემის რიტმი და სხეულის ტემპერატურა.



მარიხუანა კურნავს – სწავლულთა კიდევ ერთი აღმოჩენა

სამედიცინო მიზნით მარიხუანას რეგულარული მოხმარება კრონის დაავადებას კურნავს — ებრაელი მკვლევარების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ პაციენტთა უმრავლესობამ სრულ რემისიას მიაღწია. კრონის დაავადება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ანთებაა, რომელიც ღრმა წყლულების წარმოქმნით ხასიათდება და რთულდება პერფორაციით, სისხლდენით... მკურნალობისას გამოიყენებენ კორტიკოსტეროიდებს, იმუნოდეპრესანტებსა და ანტიბიოტიკებს. ისრაელის სამედიცინო ცენტრ Meier-ში ჩატარებულ კვლევაში 21 პაციენტი მონაწილეობდა, აქედან 11-ს რვა კვირის განმავლობაში ყოველდღე ორ ღერ მარიხუანას აძლევდნენ მოსაწევად, რომელიც 11,5 მგ ტეტრაჰიდროკანაბინოლს შეიცავდა, დანარჩენი პაციენტები კი საკონტროლო ჯგუფში იყვნენ და პლაცებოს იღებდნენ. პაციენტებს, რომლებსაც მარიხუანათი მკურნალობდნენ, აღენიშნა სრული რემისია, სამი კი გათავისუფლდა სტეროიდულ პრეპარატებზე დამოკიდებულებისგან. რაც შეეხება საკონტროლო ჯგუფს, იქ მხოლოდ ორი პაციენტის მდგომარეობა გაუმჯობესდა, ისიც უმნიშვნელოდ.

სიმსივნე, როგორც დაავადება, გაქრება

სწავლულებს სჯერათ თანამედროვე მეცნიერებისა და პროგნოზირებენ, რომ სიმსივნე, როგორც პათოლოგიის გარკვეული ჯგუფი, გაქრება დაახლოებით 50 წელიწადში. კიბოს მკურნალობის მეთოდები გამუდმებით უმჯობესდება, ახალი პრეპარატები სიმსივნური უჯრედების ზრდას ადრეულ სტადიაზე შეაჩერებს, ონკოლოგიას კი დიაგნოსტიკის პროგრესული მეთოდები გამოავლენს. დღეისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე 14 მილიონი ადამიანია რეგისტრირებული, ვინც ამ სენს თავი დააღწია.

გრენლანდიელებს „დიაბეტის გენი“ აღმოუჩინეს

გენეტიკოსებმა კიდევ ერთი წარმატებული ნაბიჯი გადადგეს — გრენლანდიის 2575 მცხოვრებს (მთელი მოსახლეობის 10%) სისხლის ანალიზი ჩაუტარეს და გამოავლინეს გენეტიკური მუტაცია, რომელიც ადგილობრივებში მეორე ტიპის შაქრიან დიაბეტს იწვევს. დანიელმა და გრენლანდიელმა სწავლულებმა გაარკვიეს, რომ გენ TBC1D4-ის მუტაცია სისხლში გლუკოზისა და ინსულინის დონეს ზრდის საკვების მიღებიდან 2 საათში და შესაბამისად, იზრდება დიაბეტის რისკიც. გენის ეს ვარიანტი მხოლოდ ამ უზარმაზარი კუნძულის მცხოვრებლებში გვხვდება და დაავადების ყოველი შემთხვევის 15%-შია მასზე პასუხისმგებელი. კვლევისას მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო გენის სწორედ ამ ვარიანტმა — მისი მატარებლების კუნთები ცუდად აითვისებს გლუკოზას, ამიტომ წამის შემდეგ შაქრის დონე სისხლში მკვეთრად იწევს. ევროპელების გენომში ეს მუტაცია არ არსებობს, გრენლანდიაში კი მოსახლეობის 23%-ს ახასიათებს. მათგან 60%-ს, ვინც ორივე მშობლისგან მიიღო მემკვიდრეობით გენი, მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტი აქვს. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ მუტაცია ბუნებრივი გადარჩევის დროს წარმოიქმნა, როცა კუნძულის მცხოვრებლებმა ტრადიციული საკვები (თევზეული და ნანადირევი, რაც მდიდარია ცხიმებით და ცილებით, მაგრამ საერთოდ არც შეიცავს ნახშირწყლებს) თანამედროვე კერძებით ჩაანაცვლეს.

ყავა — კანის ახალგაზრდობის საიდუმლო

ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ყოველდღიურად ორი ფინჯანი ყავის დალევა კანის დაბერების პროცესს აფერხებს, რაც სასმელში არსებული ანტიოქსიდანტების წყალობითაა შესაძლებელი. აღმოჩენა სკრენტონის უნივერსიტეტის სწავლულებს ეკუთვნის. ანტიოქსიდანტები, რომელსაც ყავა შეიცავს, ჟანგბადის საშიშ ფორმას, ანუ თავისუფალ რადიკალებს ანეიტრალებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ღვთაებრივი სასმელის“ სხვა პოზიტიური თვისებებიც აღმოაჩინეს, კერძოდ: ყავა თავის ტვინის მუშაობას აუმჯობესებს, რადგან იმ ნაწილზე ზემოქმედებს, რომელიც ყურადღებასა და მეხსიერებაზეა პასუხისმგებელი. მეცნიერების თქმით, ყავას შეუძლია ადამიანს სიბერეში თავიდან ააცილოს მეხსიერების დაკარგვა და დაბნეულობა, შეამციროს დიაბეტის რისკი, ასევე ღვიძლის ციროზის განვითარების ალბათობა.



1. ევერესტის მეორე სახელწოდება
2.მსუბუქი ტრფიალი, არშიყობა
3. ბანქოს ერთგვარი თამაში
4.ატმოსფეროს ოპტიკ. მოვლენა ცრუ გამოსახულებებით
5.ავსტრალიაში: მდ., რომელიც პერიოდულად შრება
6.სხეულის მდებარეობის განმსაზღვრელი აპარატი
7.ძალიან იშვიათი ნივთი
8. კათოლიკური ჯვარი
9.მდინარე ობის შენაკადი
10. „ლონისძიება“ ინგლისურ სლენგზე
11. ჩოგბურთის სათამაშო მოედანი
12. (ძვ.) ვერცხლის მონეტის სახელწოდება
13.ბოთლში „მცხოვრები“ მითოლოგიური არსება
14. ქალაქი, სადაც ტაჯმაჰალი მდებარეობს
15. იგივეა, რაც სვირინგი
16.ანტონიმი სიტყვისა - „აღრე“
17. შინაური ცხოველი
18. პურეულის ნამჯის ნალეწი
19. იტალიელი კინოკომპოზიტორი
20. მეფისა და ეტლის ერთობლივი სვლა ჭადრაკში
21. ავღანური ტერორისტული ორგანიზაცია
22. მდინარე შვეიცარიის დედაქალაქში
23.ძლიერი გრძნობა, ხორციელი სიყვარული
24. მდინარე გერმანიაში
25. ცეცხლის მნათი ნაწილი
26. ოპერა „ჯამბაზების“ ავტორი
27. შუა საუკუნეების მეკობრეების ხომალდი
28. ინდური კობრა
29.კუკის კუნძულების დედაქალაქი
30. მზის შუქი, რაიმეზე დამდგარი
31. დამხმარე თეორემა მათემატიკაში
32. ბალერინა ... ნიორაძე
33. სპორტის სახეობა
34.ახლო აღმოსავლეთის უძველესი სახელმწიფო
35. უპირინციპო პოლიტიკოსი
36. „ბარსელონას“ ურუგვაელი თავდამსხმელი
37. აფრიკული შხამიანი გველი
38.იაპონური სამაგიდო ლოგიკური თამაში
39.უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირი
40. გასართობი მეჯლისი ნიღბებით
41ბიბლიური იაკობის ერთ-ერთი ცოლი
42.რასობრივი დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა
43. საკვები ბაღახი
44.სისხლის გამცემი
45. დათვის „ბინა“
46. დედის ან მამის დედა
47. პლატონის სიძე კლდიაშვილის მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალში“
48. ტრამვაის მძღოლი
49. ტაო-კლარჯეთის ბაგრატ. დინასტიის მამამთავარი
50.პუჩინის ერთ-ერთი ყველაზე პოპულ. ოპერა
51. ბამბუკის დათვი
52.შრომის ორგან. ფორმა, დაფუძ. ურთიერთდახმარ.
53. სცილას „მეწყვილე“ ურჩხული
54. ისრაელის წარმოების ავტომატი
55. მდინარე აღმოსავლეთ ციმბირში
56.დღეის წინა დღეს ანუ ...
57. წვრილი და ძალიან წმინდა ხმა
58. საქართველოს ყველაზე წყალუხვი მდინარე
59.კლოუნის ნომერი
60. უცებ, მაშინვე
61ლითონის დაშლა ქიმიური პროც. შედეგად
62.„მძიმეწონისანი“ მუშკეტერი
63.საოპერო პარტია
64. ფუტკრის ნობათი
65. დანის ადმინისტრაც. ტერიტორიული ერთეული
66.დუმბაძის რომანი „... გეშინია, დედა!“
67. სოფელი ონის რაიონში
68.იაპონიაში: მყვინთავები, რომლებსაც ზღვა-დან ამოაქვთ წყალ-მცენარეები, მოლუსკები და მარგალიტები
69. ბრიტანელი მუსიკოსი ... გილანი
70. საღეჭი რეზინის მარკა
71. ტიბეტური ხარი
72. ბუსებრი თუთიყუში
73. ბილიარდის წითელი ბურთი
74.ჰოლანდიური მსუბუქი იალქნიანი ნავი
75გამხდარი და დაბალ ტანის კაცი
76. მიწის ფართობის საზომი ერთეული ბრიტანეთში
77. თანხის ნაწილი, რომელსაც წინასწარ იხდიან
78. მშვენიერი ელენეს ქმარი

ბედნიერების მთავარი პირობა საჭმელია

როგორც ბრიტანელი მკვლევარები ირწმუნებიან, საკვები არა მხოლოდ უპირველესი აუცილებლობაა ადამიანის სიცოცხლისთვის, არამედ მთავარი პირობაც ბედნიერებისთვის. ამ თემას მიუძღვნეს სწავლულებმა ნისლიანი ალბიონიდან გამოკვლევა იმის დასადგენად, რა კავშირია მოხმარებულ პორდუქტსა და ადამიანის განწყობას, კერძოდ ბედნიერების შეგრძნებას შორის. როგორც აღმოჩნდა, ზოგიერთ პროდუქტს უფრო მეტი გავლენა აქვს ადამიანის განწყობაზე. ამ რეიტინგში ლიდერის პოზიციებს შემწვარი კარტოფილი ან კარტოფილი-ფრი იკავებს. როგორც უნდა უწოდო ამ სასწაულ პროდუქტს, ის ყოველთვის გემრიელია და თავიდან მადას აღვიძებს, მერე არა მხოლოდ კუჭს ანაყრებს, არამედ ემოციურ მდგომარეობასაც. მეორე ადგილი სიაში კლასიკურმა ტკბილეულმა დაიკავა — შოკოლადი, ახალი ტორტი ან ნამცხვარი. მესამეზე აღმოჩნდა შავი და წითელი ხიზილალა. თუმცა, ამ შემთხვევაში იმდენად გემობრივი შეგრძნება არ მოქმედებს, რამდენადაც ფსიქოლოგიური. ხიზილალა ხომ კეთილდღეობასა და სიმდიდრესთან ასოცირდება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.